

საქართველო - ყწირვედეს ყოვლისა!
გაჯავტონი

ასაღმორი

ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№12(104)

დეკემბერი
2022 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

სისხლის სამართლის სამართავორისო
სასამართლომ 2008 წლის ომის გაყოქიების
ქტაპი დაასრულა



„...საქართველოს სამხედროებმა 2008 წელს სამხედრო მოქმედებები აწარმოეს საერთაშორისო სამართლის სრული დაცვით. წებისმიერი კითხვის ნიშანი, რაც შეიძლება, ვინმეს ჰქონოდა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ დაარღვია თუ არა რამე ამ ომში, საბოლოოდ გამოირიცხა.“

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
მოადგილე ბექა ძამაშვილი

შორანა
მჭადლიშვილი:
„ქალბს იმანე
მეტი უბეპიქლია,
ვიღრა გვპონია“

10



საახალწლო ტრადიციები
საქართველოში 6

„არღვიწყება მოყვრისა...“

20-22

გილოცავთ დაგდაგ 2023 წელს!

„...MOKETE RMERTM GIMRAVL OT, MOYVARE MRAVAL GZITAMCA;
PUR-RVINO DAUL EVELI, VIT MONADIRE WYL ITAMCA;
SICOCXLE GAXAREBULI, MOUWINARI DRITAMCA;
ASRE DASTKBIT AMQVEYANAS, VIT TAF LI FUTKRIS SKITAMCA ...“

საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით,
მსხეთის კულტურის სხლში
დავნილი ბავშვების ქონსპერტი გაიმართა



ბელნიერების
წყარო: ოჯახი,
პარიერა

ინტერვიუ
წარმატებულ
იურისტთან
ნათია
ქაჯანიასთან

4

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი (CSR DG) ასხაღებს
საბრანტო ქონსპერსს სათემო პროექტების
მხარდასაჭერად

11

საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით, მსხეთის კულტურის სახლში დევნილი ბავშვების კონცერტი, „მშვიდობის ჰანგები წეროვანიდან“ გაიმართა



10 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით, მცხეთის კულტურის სახლში, წეროვანში მცხოვრები დევნილი ბავშვების კონცერტი, „მშვიდობის ჰანგები წეროვანიდან“ გაიმართა.

ლონისძიების მონაწილეებს და სტუმრებს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გიორგი ვოლსკიმ, კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძემ და იუნისეფის წარმომადგენელმა საქართველოში, ლასან ხალილმა მიმართეს.

„ბავშვებმა აჩვენეს, რა შეუძლია ხელოვნებას, ხელოვნების სიყვარულს, გვაჩვენეს, რა შეუძლია იმ თავდადებას, რომლითაც გამოირჩევიან პედაგოგები, ქორეოგრაფები, სამუსიკო და სახელოვნებო სკოლის მასწავლებლები“, - განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.

კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, ელისო ბოლქვაძემ მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა მშვიდობის მნიშვნელობას სოციალური მეგობრობისა და ჰარმონიის კონცეფციაში.

„არაფერია იმაზე დამანგრეველი, ვიდრე ომი, სადაც არაპროგნოზირებადია ადამიანის ბედი. დღეს წეროვანის დასახლებაში მცხოვრები თითოეული დევნილი ბავშვი არის ინდივიდი და თითოეულ მათგანს აქვს შესანიშნავი ისტორია, რომელიც მოგვითხრობს გამძლეობაზე დიდი დანაკარგის წინაშე“, - განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

მან მადლობა გადაუხადა იუნისეფის წარმომადგენელს საქართველოში, ლასან ხალილს, წეროვანში მცხოვრები დევნილი ხელოვანი ბავშვებისადმი გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღებისთვის.

„ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების ხელშეწყობა, რომ კარგი განათლება მიიღონ და ამაში ყველამ ხელი უნდა შევუწყოთ“, - განაცხადა ლასან ხალილმა.

მისივე თქმით, იუნისეფის წარმომადგეობა საქართველოში, ბავშვებს საჩუქრად მუსიკალურ ინსტრუმენტებს გადასცემს.



ლონისძიების დასასრულს, ბავშვებს საჩუქრები კომპანია „მაკდონალდს საქართველომ“ გადასცა.

კონცერტში მონაწილეობდნენ: ანსამბლი „ლომისი“, თამაზ ღურგლიშვილის ხელმძღვანელობით მოქმედი ხალხურ საკრავთა ანსამბლი, ქორეოგრაფიული ანსამბლები.

ლონისძიებას ესწრებოდნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მცხეთის მერი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსი და სასულიერო პირები, ვატიკანის ნუნციო ჟოზე ბეტანკური.

დეპუტატებმა მადლობა გადაუხადეს თითოეულ მონაწილეს, პედაგოგებს, სტუმრებს და მასპინძელი ქალაქის მცხეთის მერს, დიმიტრი ზურაბიშვილს.

ამ ღონისძიებამდე წეროვნიდს დევნილთა დასახლების სამუსიკო სკოლას ეწვივნენ პარლამენტარები – ელისო ბოლქვაძე და გია ვოლსკი. გაიმართა გულახდილი დიალოგი პარლამენტარებსა და სამუსიკო სკოლის პედაგოგებს შორის.

შეხვედრას ესწრებოდა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი.



ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
 კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
 mail: gazeti.akhalgori@gmail.com

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ 2008 წლის ომის ბაშორიანის ქაბაძე დაასრულა

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის, კარიმ ხანის განცხადებით, აგვისტოს ომის საქმეზე გამოძიების ეტაპი დაასრულა, თუმცა კვლავ მიმდინარეობს სამუშაოები ეჭვმიტანილი პირების სასამართლოში წარსადგენად.

როგორც კარიმ ხანი განმარტავს, კვლავაც აუცილებელი იქნება მისი ოფისისა და პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევა, რათა მოხდეს ჯერ კიდევ თავისუფლებაზე მყოფი ეჭვმიტანილების ადგილსამყოფელის დადგენა და მათი დაკავება.

„2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთის ფედერაციის და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამოსავლენად, ქართულ სახელმწიფოსთან აქტიური თანამშრომლობით, ჰააგის სასამართლოში გამოძიება 2016 წლის იანვარში დაიწყო.

აღნიშნული აქტიური თანამშრომლობის შედეგად, მიმდინარე წლის მარტში, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ განიხილა პროკურორის შუამდგომლობა დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ყოფილი მაღალჩინოსნების, დე ფაქტო ცხინვალის მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის **მიხაილ მინძავეის**, დე ფაქტო ცხინვალის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების განყოფილების მაშინდელი უფროსის **ჰამლეტ გუჩმაზოვისა** და დე ფაქტო ცხინვალის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში პრეზიდენტის მაშინდელი წარმომადგენლის **დავით სანაკოვეის** დაკავების შესახებ, მათ მიერ რომის სტატუტით გათვალისწინებული ომის დანაშაულის შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით. შედეგად, 2022 წლის 30 ივნისს, პალატამ გამოიტანა მათი დაკავების განჩინებები და გასცა მითითება ხსენებული პირების დაკავებისა და სასამართლოსთვის გადაცემის მიზნით შესაბამისი ზომების მიღების თაობაზე.

ჰააგის სასამართლოს მიერ გამოცემული დაკავების განჩინებები ეხება 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ეთნიკური ქართველების თავისუფლების უკანონო აღკვეთას, წამებასა და არასათანადო მოპყრობას, მძევლად აყვანასა და შემდგომ უკანონო გადაცემას. ყველა ეს ქმედება ომის უმძიმესი დანაშაულია. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხსენებული დანაშაულების ჩადენა რუსეთის ფედერაციის ოკუპაციის კონტექსტში მოხდა. პროკურორის ოფისის მიერ წარმოებულმა გამოძიებამ ასევე გამოავლინა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორის და საჰაერო ძალების ხელმძღვანელის მოადგილის, ვიარსლავ ბორისოვის როლი მითითებული დანაშაულების ჩადენაში, თუმცა, იგი ამჟამად გარდაცვლილია.

დღეს, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა 2008 წლის ომთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება დასრულებულად გამოაცხადა. პროკურორის ოფისი აღარ გააგრძელებს გამოძიებას ახალი მიმართულებით სხვა პირთა სავარაუდო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ან სხვა ქმედებებთან დაკავშირებით.

პროკურორმა მზადყოფნა გამოთქვა მომავალში გაძლიერებულად ითანამშრომლოს საქართველოს

ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან, რაც მტკიცებულებების გაზიარებასა და ცოდნის გადაცემის ხელშეწყობას, ტექნიკური და სასამართლო ექსპერტიზის გამოყენების კუთხით თანამშრომლობას, ასევე, ბრალდების სტრატეგიის, ინფორმაციის მართვისა და მოწმეთა დაცვის საკითხებში საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას გულისხმობს. ისინი გააგრძელებენ თანამშრომლობას საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთანაც.

მიუხედავად იმისა, რომ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა მიმდინარე გამოძიება დასრულებულად გამოაცხადა, საქართველოს გენერალური პროკურატურა აქტიურად აგრძელებს საქართველოს სახელმწიფოსა და მოსახლეობის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი უმძიმესი დანაშაულების გამოძიებას.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, საქართველოს გენერალური პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე - საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთის ფედერაციისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი გენოციდის, მაროდორობის და შეიარაღებული კონფლიქტის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე, 411-ე და 413-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

გენერალური პროკურატურაში შექმნილია სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც შესაბამის საგამოძიებო მოქმედებებს კვლავაც აქტიურად აგრძელებს.

გენერალური პროკურატურის მიერ, აღნიშნულ საქმეზე ჩატარდა კომპლექსური და ფართომასშტაბიანი გამოძიება. გამოიკითხა ათასობით მოწმე, დათვალიერდა შემთხვევის ადგილები, სამკურნალო დაწესებულებებიდან გამოთხოვილია სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელთა საფუძველზეც დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები. ასევე, საქმეზე ჩატარდა ბალისტიკური, პიროტექნიკური, ვიდეო-ტექნიკური, ქიმიური და სასაქონლო ექსპერტიზები.

ბოლო წლებში, სტრასბურგისა და ჰააგის სასამართლოებში გამოძიებით მოპოვებული ასეულობით სხვადასხვა მტკიცებულება გაიგზავნა, რის საფუძველზეც ქართული მხარე, საერთაშორისო სასამართლოების წინაშე ძლიერი სამართლებრივი არგუმენტებით და მყარი მტკიცებულებებით წარსდგა. ხსენებული მტკიცებულებების შეგროვებისა და სახელმწიფო პოზიციების შემუშავების პროცესში კი საქართველოს გენერალური პროკურატურას, ისევე როგორც საქართველოს იუსტიციის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, თავდაცვის სამინისტროებს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის.

შედეგად, როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, 2021 წლის 21 იანვარს ადამიანის უფლებათა ევრო-

ბედნიერების წყარო: ოჯახი, კარიერა

ინტერვიუ წარმატებულ ოპრისტიან ნათია ქაჯაიასთან



– დაასრულეთ წინადადება: „ბავშვობაში მეგონა, რომ...“

– ბავშვობაში მეგონა, რომ ყველა ადამიანის ცხოვრების შესახებ წიგნი იყო დაწერილი. როცა გარკვეული გადაწყვეტილების წინაშე დავდებოდი, ვცდილობდი წარმომედგინა, რა შეიძლებოდა დაენერათ ჩემი ცხოვრების წიგნში, რომ მეც ამის შესაბამისად მოქცეულიყავი. ახლა, როცა ზრდასრული ვარ, ვაცნობიერებ, რომ ჩემი ბავშვობის წარმოდგენას ბედისწერა ჰქვია. ბედისწერის გარკვეულწილად დღესაც მეჯერა, მაგრამ, როგორც ბავშვობაში, ახლაც ვფიქრობ, რომ ჩვენი ბედისწერის წიგნში გარკვეული ღია ადგილებია, რომლებიც ჩვენი გადაწყვეტილებებით უნდა შევავსოთ.

– ბავშვობა, ახალგაზრდა...

– ძალიან კარგად და სასიამოვნოდ მახსენდება ბავშვობის პერიოდი, საბავშვო ბაღი მისი ზეიმიებით და ლამაზი ღონისძიებებით, კინოთეატრში თითქმის ყოველდღე ჩემს დიდ ბებიასთან ერთად ყოფნა, ჩემი ბავშვობის მეგობრებთან და მეზობლებთან ერთად სახლობანას და სკოლობანას თამაშები, სადაც მასწავლებლის როლი აუცილებლად ჩემი უნდა ყოფილიყო, ნათელა ბებიას სამსახურში სამუშაო კაბინეტში საბუთობანას თამაში, კომპოზიტორ ვაჟა ღურგლიშვილის საბავშვო ანსამბლი და მისი კონცერტები. მოგვიანებით პერიოდში კი სასიამოვნოდ მახსენდება ზურაბ ჟვანიას მიერ საქართველოს მასშტაბით მოსწავლეებისგან შექმნილი ალტერნატიული პარლამენტი, რამაც გარკვეულწილად გავლენა მოახდინა ჩემი პროფესიის არჩევაზე. აღნიშნული გამოცდილება ახალგაზრდის რაიონშიც დავენერგეთ და შევქმენით ალტერნატიული პარლამენტი გამგეობის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელის ლელა ბედოშვილის თანადგომით, რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ არჩეული ვიყავი პარლამენტის პირველ სპიკერად. გვექონდა ბევრი საინტერესო ღონისძიება, მათ შორის გამოვეყოფიდი საქართველოს კონსტიტუციის ხუთი წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებას, ყოველ კვირას გამართულ ინტელექტ კლუბის თამაშებს „რა? სად? როდის?“ (კლუბის თამაშის ფარგლებში რამდენჯერმე მივიღე საუკეთესო მოთამაშის სტატუსი და სპეციალური პრიზი), გუნდების ნაკრების საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობას, საახალწლო კარნავალებს, პოეზიის სადამოყვებლს, შემეცნებით ექსკურსიებს, შაბათობებს, ქუთაისის ალტერნატიულ პარლამენტში დელეგაციის ვიზიტს, სადაც დავგვეგმეთ და განვახორციელეთ ერთობლივი ღონისძიებები, გავუზიარეთ ერთმანეთს გამოცდილება. აღსანიშნავია და სიამაყით მახსენდება საქართველოს პარლამენტის მიერ გამოცხადებულ რე-სპუბლიკურ კონკურსში „ვსწავლობთ დემოკრატიას“ გამარჯვება ჩემი თემის „ადამიანის ღირსება დემოკრატიულ საზოგადოებაში“, რომელმაც პირველი ადგილი

დაიკავა და პირველი ხარისხის დიპლომითა და ფულადი პრემიით დამაჯილდოვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ზურაბ ჟვანიამ, რომელმაც საქართველოს პარლამენტში ყოფნის და სპეციალური სტუმრის მუდმივი საშვიც გადმოცა.

საოცრად მოტივირებული, განვითარებაზე ორიენტირებული, ინტელექტუალური მოსწავლე-ახალგაზრდობა იყო ჩვენს რაიონში და გული მწყდება, რომ დღეს რამდენიმე მათგანი ტრაგიკული შემთხვევების გამო ჩვენს გვერდით აღარ არიან.

– სიყვარული, ოჯახი, შვილი...

რა არის ბედნიერებისათვის საჭირო?

– ჩემი ოჯახი ჩემთვის ბედნიერების მთავარი წყაროა, რომელშიც ერთიანდება ჩემი იმედები და მიზნები. ოჯახი ჩემთვის მთავარ საყრდენს და ამავდროულად მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. სწორედ ოჯახში ვპოულობ იმ სიმშვიდეს, რომელსაც ასე უხეშად გვართმევს დღევანდელი ყოველდღიურობა და რუტინული თუ არარუტინული პრობლემები. ამის გამო მაქსიმალურად ვცდილობ ჩემი თავისუფალი დრო მთლიანად ოჯახს და ჩემს შვილს დაუთმო, რადგან ეს მაძლევს ყველაზე დიდ ძალას და ენერჯიას.

– სად მუშაობთ და რა გზა გაიარეთ დღემდე, რა პოზიციებზე მუშაობდით?

– ამჟამად ვახორციელებ საადვოკატო საქმიანობას საერთო სპეციალიზაციით, ნათია ქაჯაიას საადვოკატო ბიუროს მმართველი პარტნიორი ვარ, ჩემი სპეციალიზაცია მოიცავს სამოქალაქო, საკორპორაციო, შრომის, სამედიცინო, განათლების, დაზღვევის, საგადასახადო, ადმინისტრაციულ, საკონსტიტუციო, კონკურენციის, საერთაშორისო კერძო და სისხლის სამართალს.

ჩაბარებული მაქვს მოსამართლეობის, პროკურატურის და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები.

საადვოკატო საქმიანობის დაწყებამდე გახლდით საჯარო მოხელე. საჯარო სამსახურში მუშაობამ დიდი პროფესიული გამოცდილება მომცა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, სადაც კვალიფიციურ იურისტთა წრესთან ურთიერთობამ განაპირობა მოტივაცია უკეთესი ვყოფილიყავი. ჩემი ურთიერთობა სასამართლოებთან, პირის წარმომადგენლობა და ინტერესების დაცვა სასამართლოში 18 წელს ითვლის.

ამასთან, ვარ დოქტორანტი, ვმუშაობ სადისერტაციო ნაშრომზე, 2003 წლიდან ვკითხულობ ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტების სამართლის ფაკულტეტზე, ხოლო თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში ვახორციელებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილებას, ჩართული ვარ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის პროცესებში.

– თქვენი წარმატების საიდუმლო...

– ვფიქრობ, წარმატების საიდუმლო არა მხოლოდ ჩემს შემთხვევაში და არა მხოლოდ იურისპრუდენციაში, ყველა სფეროში დიდწილად ერთგვარია. ეს არის საკუთარ თავზე მუდმივად მუშაობა, დაუსრულებელი სწავლა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძობა, სწორი კომუნიკაციის უნარი, დროის მენეჯმენტი. ამ ყველაფერთან ერთად, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია მუდამ ისწრაფოდვე განვითარებისკენ და საკუთარ თავს აიძულებდე, დიდ ხანს არ დარჩე კომფორტის ზონაში.

– თქვენი ცხოვრების მთავარი შტრიხი...

– ჩემი ცხოვრების მთავარი შტრიხი ჩემი ოჯახი და კარიერაა. სწორედ ეს ორი ელემენტი მაყალიბებს იმ პიროვნებად, რომელიც ვარ. საზოგადოებაში გაბატონებულია ის აზრი, რომ პიროვნებამ უნდა აირჩიოს ან ოჯახი ან კარიერა. ამ არჩევანის წინაშე საზოგადოება განსაკუთრებით ხშირად ქალებს აყენებს, რადგან მიიჩნევენ, რომ საოჯახო ვალდებულებების შესრულება მეტწილად ქალის საქმეა.

მე არც საოჯახო ტვირთის სრულად ქალზე დაკისრებას ვეთანხმები და არც იმას, რომ აუცილებლად უნდა გავაკეთოთ არჩევანი ოჯახსა და კარიერას შორის. ჩემი აზრით, დროის სწორი მენეჯმენტით, საოჯახო ვალდებულებების სწორად განაწილების წყალობით შესაძლოა ერთნაირად წარმატებული იყო კარიერაშიც და ოჯახშიც.

– თავისუფალი დრო...

– ვცდილობ თავისუფალი დრო სწორად გავანაწილო ისეთ ღირებულებებზე, რომლებიც უკან გაორმაგებული დადებითი ენერჯით მიბრუნდება. ასეთია ოჯახთან და მეგობრებთან დროის გატარება და საკუთარ პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა. ჩემი საქმიანობიდან და დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, თავისუფალი დრო არც ისე ბევრი მაქვს, მაგრამ რაც მრჩება, ვცდილობ, რომ უბრალოდ დასვენებაში არ „გავფლანგო“ და მისი ინვესტირება დადებით ემოციებში განვახორციელო.

– იურისტი რომ არ იყო, ვინ იქნებოდით?

– იურისტობა რომ არა, მოღვაწეობისთვის, ალბათ, ისეთ სფეროს შევარჩევდი, რომელიც მოითხოვს საზოგადოებასთან ურთიერთობას, მათ დახმარებას, აქტიურობას. ვფიქრობ, მსგავსი გამოცდილება შეიძლება სამედიცინო ან საგანმანათლებლო სფეროში მიმელო.

მაგრამ არა... ჩემი პროფესია ძალიან მიყვარს და გათავისებულნი მაქვს მისი სიდიადე. იურისტის პროფესიამ საკუთარი თავის პოვნის, განვითარების და თვითრეალიზების საშუალება მომცა. ამ პროფესიას განსაკუთრებული ახასიათებს, განსხვავებული ხედვა, აზროვნება და უნარები გაქვს სხვა პროფესიის წარმომადგენლებისგან განსხვავებით. იურისტებს გვაქვს უნარი წინასწარ დავინახოთ, შევაფასოთ და ავიცილოთ მოსალოდნელი რისკი. პროფესიული უნარ - ჩვევები ყოველდღიურ საქმიანობაში საშუალებას მაძლევს წარმატებულად გავართვა თავი ნებისმიერი სირთულის გამოწვევას და მარტივად გადავჭრა ყველა ის პრობლემა, რასაც იურიდიული საქმიანობის განხორციელებისას ვაწყდები. ძალიან მხიბლავს, რომ დასაქმების სფეროს ყველაზე ფართო სპექტრი და საჭიროება იურისტის პროფესიას აქვს, ყველა დარგს/სფეროს: განათლებას, ჯანდაცვას, ეკონომიკას, ფინანსებს, ბიზნესს და სხვა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს სამართალი არეგულირებს.

ადვოკატის პროფესია საშუალებას მაძლევს თანაბრად გკონცენტრირდე რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებულ და მრავალფეროვან საქმეზე, დიდი პასუხისმგებლობა და პატივია როცა რჩევას გეკითხებიან და ჩემს სიტყვას ენდობიან, რაც პროფესიული უნარებისა და გამოცდილების თანამდევია, რომელიც წარმატებისკენ მიმავალ გზას შეუქცევადს ხდის.

– გვიამბეთ თქვენი ვიზიტის შესახებ გერმანიაში ...

– არსებობს ძალიან კარგი ორგანიზაცია საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის, რომლის გამგეობის წევრიც გახლავართ და რომლის საქმიანობის ერთერთი მიმართულება ორგანიზაციის ადვოკატი წევრების პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვაა. სწორედ ამ მიზნით ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები საქართველოსა და საზღვარგარეთ, კერძოდ მიმდინარე წლის ნოემბერში გახლდით გერმანიაში ქალაქ ბონსა და დიუსელდორფში, სადაც შევხვდით მოსამართლეებს, ადვოკატებს და სამართლის პროფესორებს, რომლებმაც საინტერესო ლექციები ჩავგიტარეს და პროფესიული გამოცდილება გაგვიზიარეს. აღნიშნული ორგანიზაციის ეგიდით მოეწყო ასევე სასწავლო ვიზიტი სექტემბერში მადრიდის უნივერსიტეტში ევროპის სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით, ევროკავშირის სამართლის აქტუალურ და პრობლემურ ასპექტებზე, ხოლო სექტემბერში მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ვენის უნივერსიტეტში გაიმართა ევროკავშირის საინვესტიციო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ხოლო ივნისში - სტრასბურგში ადამინის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გვექონდა სამუშაო შეხვედრები და მასტერ კლასები.

– რას ურჩევთ ახალგაზრდა გოგონებს, ვინც იურისტობას აპირებს?

– ვურჩევ იყვნენ მიზანდასახულები, თავდაჯერებულები, სწავლაზე ორიენტირებულები, შრომისმოყვარეები. მუდამ სჯეროდეთ საკუთარი შესაძლებლობების და ცხოვრების არც ერთ ეტაპზე არ შეეგუონ საზოგადოებაში დღემდე ფესვგამდგარ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მდებარეობითი სქესი სუსტია და, რომ ჩვენ რამის გაკეთება არ შეგვიძლია ან ნაკლებად გამოგვდის. მუდმივად შეენინაალმდეგონ იმ აზრს, რომ ქალის ადგილი იურისპრუდენციაში არ არის.

რა თქმა უნდა, ამ პროცესში ისინი შეეჯახებიან მრავალ გამოწვევას და პრობლემას, მაგრამ ამ გამოწვევებისა და დაბრკოლებების გადალახვით მიღებული სიხარულისა და სიამაყის გრძობა იმდენად ძლიერია, ასმაგად გადაწონის ყველა წინააღმდეგობას. სწორედ ეს გრძობა აჩენს აზარტის შეგრძნებას, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტი წარმატების მოპოვებისკენ გიბიძგებს.

დღესდღეობით ისეთ გარემოში გვიწევს ცხოვრება, რომელიც მუდმივად იძლევა განვითარების უამრავ შესაძლებლობას. თუმცა, ამ შესაძლებლობების სიმრავლის საპირწონედ არსებობს უდიდესი კონკურენცია. ჩემი რჩევა იქნება საკუთარ თავზე იმდენი მუშაობა, რომ შეძლონ კონკურენტულ გარემოში ღირსეულად ოპერირება და ყველა იმ შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენება, რომელსაც დღევანდელი გვათავაზობს.

– რა გახარებთ ყველაზე მეტად...

ბელნიკების წყარო: ოჯახი, კარიერა

მე-5 გვერდიდან

– ყველაზე მეტად მახარებს წარმატება, იქნება ეს საკუთარი წარმატება, შვილის წარმატება, ოჯახის წევრის წარმატება, კოლეგის წარმატება, ქვეყნის წარმატება თუ თანამოქალაქის წარმატება. წარმატების ამბის მოსმენა ყოველ ჯერზე უფრო და უფრო მიღრმავებს იმ რწმენას, რომ შრომისმოყვარეობა, მონდობა, ბრძოლა ყოველთვის გამოიღებს შედეგს და როგორც იტყვიან, „შრომა ყოველთვის იხდის სანაცვლოს“.

ამასთან, ცალკე არ შემიძლია არ გამოვყო სასამართლოში საქმის მოგების შედეგად მიღებული სიხარული და კმაყოფილი დამკვეთის გაბრწყინებული თვალები, ამ დროს მიღებული დადებითი ემოცია ფასდაუდებელია.

– რა გასევდიანებთ?

– ამ კითხვაზე პირველი სწორედ ახალგორი გამახსენდა. მტიკვა და მასევედიანებს ოკუპირებული ტერიტორიების მდგომარეობა. ალბათ ეს ტკივილი ყველა ქართველს გვაერთიანებს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, განსაკუთრებულად ემოციურად ოკუპირებულ ტერიტორიებს სწორედ ისინი განვიცდით, რომლებმაც პირადად „ვიგემით“ ეს დანაკარგი.

იმედი მაქვს და მჯერა, რომ უახლოეს მომავალში შევძლებთ დავბრუნდეთ ჩვენს ულამაზეს ქსნის ხეობაში, თუმცა იმასაც ვაცნობიერებ, რომ ეს არ იქნება მარტივი პროცესი, მაგრამ ვფიქრობ ამაში ყველამ ჩვენ-ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ. თუნდაც იმით, რომ ვიყოთ კეთილსინდისიერნი და წარმატებულნი ჩვენს საქმეში, რითიც შევქმნით ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც შეძლებს საკუთარი ინტერესების ღირსეულად დაცვას, სტრატეგიული პარტნიორების დახმარების მოპოვებას და საბოლოო ჯამში ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას.

– დასასრულს, გვითხარით, საახალწლოდ როგორი ტრადიცია გქონდათ ახალგორში და დღეს როგორ განსხვავებული ტრადიცია გაქვთ?

– საახალწლოდ ახალგორში გვექონდა ჩემს ბებია-პაპებთან სტუმრობის, ღორის დაკვლის და მწვადის შეწვის ტრადიცია, თანაკლასელები სკოლაში ვაწყობდით საახალწლო კარნავალებს, ერთმანეთს სახლებშიც ვულოცავდით და ვსტუმრობდით, ვაგემოვნებდით მიქაღოს, გოზინაყსა და ჩურჩხელებს, ერთმანეთს ვჩუქნიდით საახალწლო ბარათებს და სუვენირებს, თოვის დროს კი საღამოობით განათებულ ქუჩებში ვსერირობდით და ვგუნდაობდით.

– ვის ულოცავთ პირველად ახალ წელს? მიულოცეთ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდანაც.

– ახალ წელს თქვენი გაზეთის ფურცლებიდან პირველად მივულოცავ ოკუპირებული ახალგორის რაიონის მოსახლეობას და ვუსურვებ მალე მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას.

ახალი წელი საქართველოში

„...მეოცედი ღმერთმა ბიძრავლოთ, მოყვარო მრავალ ბზითამცა;
კურ-ღვინო დაუღველო, ვით მონაღირე წყლითამცა;
სიცოცხლე ბახარებულო, მოუწყინარი ღლითამცა;
ასრე ღახტობით ამ ძვემანას, ვით თაზლი უშტპრის სპითამცა...“

ახალი წელი საქართველოში წლის მნიშვნელოვანი დღე-სასწაულია, რომელსაც ყველა, პატარა თუ დიდი მოუთმენლად ელის. მოსახლეობა ახალ წელს ახალი იმედებით, სურვილებით და მიზნებით ეგებება სადღესასწაულო სუფრის ან ზემის ფონზე. ახალი წლის ტრადიცია საქართველოში მრავალფეროვანია და ქვეყნის ყოველი კუთხე განსხვავებულად აღნიშნავს მას.

ქართლში თავდაპირველად ბასილას ქანდაკებას აცხობდნენ, ოჯახის თითოეული წევრისთვის ორ-ორ ბედის კვერს და თითო შინაური ცხოველებისთვის. ოჯახის უფროსი ხონჩაზე დაანყობდა მოხარშულ დედალს, ღორის თავს, ბედის კვერებს, ბასილას, თაფლში ამოვლებულ პურის ლუკმებს, ჩურჩხელას, გოზინაყსა და დოქით ღვინოს. გათენებისას იგი ხონჩას გარეთ გაიტანდა, სახლს ლოცვით სამჯერ შემოუვლიდა. შინ შებრუნებისას მუგუზლით ცეცხლს შეუჩუჩხუნებდა და ნაპერწკლების აცვენისას წარმოთქვამდა: — „ამდენი ხარი, ამდენი ძროხა, ამდენი ღორი...“

ამ საახალწლო ხონჩას ქართლში „აბრამიანს“ უწოდებენ.

კახეთში მეკვლეს სახლში შემოსვლისას ხორბალს ან სიმინდს გადაუყრიდნენ — ბევრი მადლარი კრუხ-წინილა გვეყოლებათ. აქვე ასეთი მესტირული საახალწლო სიმღერა ისმოდა:

„ხელში ორ ჭიქას ავიღებ, ვილოცებოდე ღვინითა,
ყველა კარგად დაესწარით მრავალ ახალწელს დილითა,
ნათლიმამა თან მოგდევდეს, თაფლი მოქონდეს ქილითა;
ხურჯინიც სავსე ეკიდოს, ჩურჩხელებით და ხილითა...
თქვენი კოდები ყოფილა სავსე და — წმინდა ფქვილითა;
თქვენი ქვევრები ყოფილა სავსე და — წითელ ღვინითა;
თქვენი ფარეხი ყოფილა სავსე და — ცხვრითა, ბინითა...
თქვენი მტერი ნაქცეულა, ველარა ძღება ძილითა!“

ჰერეთში საახალწლოდ დაამზადებდნენ ხონჩას; დაანყობდნენ ზედ პურებს, ლავაშს, დადგამდნენ ჯამით თაფლს, ერბოს, არანით ღვინოს, ბამბის წითელ და თეთრ ძაფებს და სახლის-დიდთან ერთად წავიდოდნენ ვენახის საკვლევად. მივლენ ერთ კარგ მოსავლის მომცემ ვაზთან, თან იტყვიან: „ღმერთო, ქურმუხის საყდარო, შენ ნუ მოგვაკლებ ქვევრებში წითელ ღვინოსა.“ თითო ლუკმა პურს ამოანებენ თაფლსა და ერბოში, შეჭამენ, ცოტა ღვინოს მოსვამენ და შინ დაბრუნდებიან. სადილად მოელიან გარეშე მეკვლესაც, რომელიც უნდა იყოს ვინმე ბედისგან დაუჩაგრავი, ან ნათესავი, ან ნაცნობი. მანამ მეკვლე არ ეწვევათ, არავის მიიღებენ სახლში.

საახალწლოდ **თუშეთის** სოფლებში არაყს ხდიან და ლუდს ადუღებენ. ოჯახებში აცხობენ ერთ გულიან კოტორს „ქრისტეს საგძალს“, კაცზე „ბაცუკაცს“ და ქალზე მრგვალ კვერს. აცხობენ აგრეთვე დამახასიათებელ ნიშნებიან საქონლის კვერებს. ყველა ამ კვერს ხონზე დაალაგებენ და ზედვე დებენ: მატყლს, მარილს, ყველს, ერბოს და ამ სუფრას მეკვლის მოსვლამდე ხელს არავინ ახლებს. დიასახლისი აგრეთვე აცხობს სახლის ანგელოზის ან ფუძის ანგელოზის კვერს და „კერის კვერს.“

საახალწლოდ ირჩევენ მეკვლეს, რომელსაც მოაქვს პური და ამ პურზე უწყვიან: ერბო, ყველი, მატყლი და რაიმე ტკბილეული. მეკვლეს ხელში არაყიც უჭირავს. ოჯახში შე-

მოსვლისას პურს შემოაგორებს და იტყვის: „შემოდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა, კაი წელი გამოგეცვალოთ მრავალი. ერთი ესე, ათასი სხვა. გაგიმრავლოთ შინ ოჯახი, გარეთ საქონი!“

ფშავში მამლის პირველი ყვილისას დიასახლისი დგება, ჯალაბს ნაყრად (საგზლად) ხმიადს გამოუცხობს, ხონჩაზე დადებს და მას კერის პირზე მიდგამს, გარშემო თაფლ-ერბოიან ჯამებს შემოუმწერივებს. ოჯახიდან ერთი წყალზე წავა, თან „ნაყრს“ — ყველს და პურს წაიღებს. იქ წყალში ჩააგდებს და სამჯერ იტყვის: „წყალო, ნაყრი მოგიტანე, ბედი გამომაყოლეო.“ ამ წყალსაც დიასახლისი სუფრასთან მიდგამს, სუფრას სახელს შესდებს და დაილოცება. ამის შემდეგ ოჯახის წევრებს თაფლს და ხილს შეაჭმევს, „დააბერებს“ და ერთმანეთს ეტყვიან: „ეგრემც ტკბილად დამიბერდიო“. გადმოიღებენ ხმიადებს, წვნიან ჯამებს და საუზმობენ. ოჯახი უცდის წინა ღამეს ხატში წასული ღამისმთევლების გამობრუნებას, მეკვლეს შემოსვლას და ოჯახიდან არავინ გადის. დიასახლისი ქვაბს ჩამოჰკიდებს და ხინკლის კეთებას შეუდგებიან.

ხევისურები ახალ წელს „წელნადს“ უწოდებენ და მას დიდი სამზადისით ეგებებიან. ოჯახებში საახალწლო არაყს ხდიან, ხატში დასტურები ლუდს ხარშავენ. დიასახლისი საახალწლო კვერებს აცხობს. ყველაზე დიდი სამეკვლეო კვერია, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი, კაცი, სახნისი, ხარი, ძროხა, ცხენი, ქერის თავთავი და სხვა. სამეკვლეო კვერს გამოცხობის დროს უცქერიან და, რომელი გამოსახულებაც აინეცს, იმ წელიწადს ის იქნება მრავალი და დოვლათიანი. შემდეგ დიასახლისი ოჯახის ყველა წევრისათვის აცხობს ბედის კვერებს: თითოეულს თავისი ნიშანი აზის და გამოცხობის დროს, ვისიც აფუვდება, ის ბედიანი და ყისმათიანი იქნებაო.

ზემო რაჭაში საახალწლოდ ორ ბაჭულს აცხობენ, ერთს ახალი წლისთვის, მეორეს ძველისთვის. აცხობენ აგრეთვე ადამიანის სახის კაც-ბასილას და ერთ დიდ პურს „კერია-ბერიას“, რომელსაც სხვადასხვა სახეებით აჭრელებენ. ამ ნამცხვრებს ოჯახის უფროსი ცხრილზე დაალაგებს და ბელელში შეინახავს. მამლის პირველი ყვილისას „მაკვრიელი“ ან მეკვლე ცეცხლს დაანთებს. შემდეგ გარეთ გავა, მარხილზე დანყობილ ნეკერს მოტეხავს, ჩიჩილაკს აიღებს და ბელელში შევა. შემდეგ შინ შემოვა ლოცვით „შემოდგი ფეხი გწყალობდეთ ღმერთი. დიამც მამივა ახალი წელი: შეძენის და მოგების, მშვიდობის და კარგად ყოფნის, ვაჟიანობის, ღვინიანობის, პურიანობის“, შემდეგ წყლის მოსატანად წავა. მის დაბრუნებამდე ყველანი დგებიან. მეკვლე ყველას ხელპირს დააბანინებს. საუზმის დროს კი ოჯახის ყველა წევრს „კერია-ბერიას“ უნანილებენ.

ლეჩხუმში ახალ წელს, ნაშუადღევს, ოჯახის უფროსი მამაკაცი ზურგზე მოიკიდებდა მეორე მამაკაცს და ვენახისკენ გასწევდა. თან მიჰქონდა ტაბლა, რომელზეც ეწყო ღვინიანი ჭიქა, ღორის შემწვარი ხორცი, ანთებული სანთელი და ხორბლის ერთ-ერთი ჯიშის — ზანდურის თავთავების კონა. ვენახში შესვლისას იგი იძახდა: „ლუზ, ლუზ, ლუზ!“

ამის შემდეგ კაცს ჩამოსვამდა, თავთავების კონას სარზე ჩამოაცვამდა, ტაბლას წალმა შეატრიალებდა, მერე ღვინით დაილოცებოდნენ და მიტანილ სანოვავს შეექცეოდნენ.

სვანეთში ახალ წელს ოჯახის უფროსი კაცი, ერთი ქალი და ერთი კაცი სისხამ დილაზე ჩუმად ადგებოდნენ, სანოვავით სავსე გიდელს წაიღებდნენ, ყველაზე გამორჩეულ ხარს წაიყვანდნენ და წყალს დაალეინებდნენ, უკან დაბრუნებისას თან წყალი მოჰქონდათ. კალოზე თოვლის ზვინს დადგამდნენ, შუაში ნაძვის ხეს ჩაურჭობდნენ, გარს შემოუვლიდნენ და მერე სახლში შედიოდნენ. კაცი იძახდა: „კარი გამიღეთ, ღვთისა და ხელმწიფის წყალობა მომაქვს!“ შევიდოდა სახლში, შეიყვანდა ხარსაც, სამჯერ შემოუვლიდა კერას, შემდეგ აიღებდა ხელში ბედის პურს, რომელზეც ელაგა: თაფლი, ხორცი, ყველი, ფული და ყველას მიულოცავდა ახალ წელს.



სამეგრელოში ყველაზე დიდ დღესასწაულად კალანდა — ახალი წელი ითვლებოდა. შინ გამოსაჩენ ადგილას დადგამდნენ ბრონეულით, ხილით, ტკბილეულით, ძვირფასი ნივთებით, აბრეშუმის ძაფით, სუროსა და დაფნის ტოტებით მორთულ ჩიჩილაკს. აცხობდნენ ბასილას და ღვეხელს, რომელშიც კვერცხის გულს დებდნენ. დილით ადრე სოფელში თოფის სროლა ატყეებოდა. ოჯახის უფროსი სანოვავით სავსე ხონჩას აიღებდა, ხალხს ლოცვით სამჯერ შემოუვლიდა, ღომის მარცვლებს აბნევდა და ღმერთს გამარჯვებას, ჯანმრთელობასა და კარგ მოსავალს სთხოვდა. შემდეგ შინ შევიდოდა და ყველას მიულოცავდა.

გურიაში ახალ წელს კალანდას ეძახიან. წინაღლით მოჰქონდათ „ცხემლის“ (რცხილის) შეშა, რომელსაც თხილის ჯოხებსაც მოაყოლებდნენ ჩიჩილაკისთვის. ამ ჯოხებს ღადარში აცხელებდნენ და კარგად ალესილი დანით ისე თლიდნენ, რომ ბურბუშელა ჯოხზევე რჩებოდა და ეხვეოდა. შემდეგ ჯვრიან დასადგმელს უკეთებდნენ, წვერში ჯვარედინად თხილის ჯოხებს ჩაურჭობდნენ და რთავდნენ სუროს ტოტებით, ვაშლებით, საჩიჩილაკე ხაჭაპურებით, ტკბილეულითა და ვერცხლის ფულებით.

აჭარაში ახალგაზრდები თითქმის გათენებამდე დადიოდნენ სოფელში და ყველა ოჯახს ახალი წლის დადგომას ქრისტიანული სიმღერით ულოცავდნენ: „შემოდგი ფეხი, გილოცავთ, გწყალობდეთ წმინდა ბასილი, იმისი მადლით იყავით პურიით და ღვინით ავსილი.“

მასპინძლები საჩუქრებს აძლევდნენ მომლოცველებს.

სამცხე-ჯავახეთში 31 დეკემბერს მზის ჩასვლისას ოჯახის უფროსი მამაკაცი ხელში რკინის ჯოხით სახლს სამჯერ შემოუვლიდა, თან ფუძის ანგელოზს სთხოვდა მისი ოჯახი ეშმაკის გზიდან აეცდინა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ 2008 წლის ომის ბაჰამის ბაჰამის კაზუსი დაასრულა

მე-3 ბპერდიკა

პულმა სასამართლომ, 2008 წლის ომის საქმეზე ისტორიული გადაწყვეტილება გამოაცხადა, რომლის თანახმადაც რუსეთის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არაერთი მუხლი დაარღვია.

გარდა ამისა, 2022 წლის 24 მარტს სტრასბურგის სასამართლომ, რუსეთის კოორდინაციით ცხინვალის რეგიონში მცხოვრებთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ 370 ინდივიდუალურ საჩივარზე განჩინება გამოაქვეყნა და საჩივრები დაუშვებლად გამოაცხადა. სასამართლომ გაიზიარა ქართული მხარის არგუმენტები, რომ ზემოაღნიშნული საჩივრები აშკარად დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან მინიმალური სტანდარტის მტკიცებულებებიც კი არ იყო წარდგენილი მომჩივანთა პრეტენზიების გასამყარებლად. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ომის დროს ცხინვალის რეგიონი აქტიურად იბომბებოდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან და საქართველოს შეიარაღებული ძალები არ ახორციელებდნენ კონტროლს ცხინვალის რეგიონსა და მიმდებარე ტერიტორიაზე.

საქართველოს გენერალურ პროკურატურა, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, აქტიურად გააგრძელებს ყველა აუცილებელ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას, რათა რუსეთის ფედერაციის და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ყველა ის წარმომადგენელი გამოვლინდეს, ვისაც ჩვენი ქვეყნის წინაშე ომის დანაშაულები აქვს ჩადენილი. ყველა მათგანი წარდგეს მართლმსაჯულების წინაშე და ჩადენილი ქმედებებისათვის კანონის მთელი სიმკაცრით აგოს პასუხი.“ – ნათქვამია საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის კარმი ასად ახმად ხანის გადაწყვეტილებას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საქმის გამოძიების შესახებ გამოეხმაურა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბექა ძამაშვილი:

„მე მინდა პირველ რიგში ჰააგის პროკურორის დღევანდელი გადაწყვეტილება მივულოცო საქართველოს მოსახლეობას და განსაკუთრებით ჩვენს გმირ სამხედროებს, რომლებიც 2008 წლის ომში იბრძოდნენ. დღეს უკვე ოფიციალურადაც შეგვიძლია, ვთქვათ, რომ საქართველოს სამხედროებმა 2008 წელს სამხედრო მოქმედებები აწარმოეს საერთაშორისო სამართლის სრული დაცვით. ნებისმიერი კითხვის ნიშანი, რაც შეიძლება, ვინმეს ჰქონოდა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ დაარღვია თუ არა რამე ამ ომში, საბოლოოდ გამოირიცხა.

დღეს ჰააგის პროკურორმა საბოლოოდ დახურა გამოძიება 2008 წლის ომის საქმესთან დაკავშირებით. გამოძიება გაგრძელდება მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც გამოკვეთილია დანაშაულები საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ ეპიზოდებზე. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, მიმდინარე წელს პროკურორმა უკვე ეთნიკური ოსების და რუსი გენერლის პასუხისმგებლობა გამოკვეთა ამ ომში, რომლებ-

მაც საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადინეს ომის დანაშაულები“, - განაცხადა ბექა ძამაშვილი.

მინისტრის მოადგილის განმარტებით, საქართველომ საერთაშორისო სასამართლოებში ყველა დავა მოიგო.

„დღევანდელ გადაწყვეტილებაში პროკურორმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმას, რომ

დანაშაული ჩადენილი იყო საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ, რომ მას ჰქონდა ეთნიკური ნიადაგი, ეს იყო მასშტაბური და დანარჩენ ეპიზოდში, სადაც შეიძლებოდა, პოტენციურად საქართველოს რაიმე დარღვევა დადგენილიყო, ეს ნაწილი მთლიანად ჩაიხურა. შესაბამისად, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ჩვენ დღეს უკვე შეგვიძლია, თავისუფლად ვთქვათ, რომ საქართველომ საერთაშორისო სასამართლოებში ყველა დავა სუფთად მოიგო. მოიგო ისე, რომ არც სტრასბურგში და არც ჰააგაში არ გამოკვეთილა არცერთი დარღვევა.

აქაც მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ სტრასბურგის სასამართლოში, მაგალითისთვის, 3300 საჩივარი იყო შეტანილი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის კოორდინაციით და იქაც საქართველომ სუფთად მოიგო აბსოლუტურად ყველა საქმე. შესაბამისად, საბოლოოდ ეს გადაწყვეტილებები სტრასბურგსა და ჰააგაში აჩვენებს იმას, რომ 2008 წლის ომში თუ ვინმე არღვევდა რამეს, ეს იყო რუსეთს ფედერაცია და მის მიერ დაქვემდებარებული პირები“, - თქვა ძამაშვილი.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიების მოთხოვნით საქართველომ მიმართა. 2016 წლის 27 იანვარს პირველმა წინასასამართლო პალატამ პროკურორს უფლებამოსილება მიანიჭა, დაეწყო გამოძიება სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ არსებული იმ დანაშაულების გამოსაძიებლად, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩადენილია სამხრეთ ოსეთში, საქართველოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში.

2022 წლის 10 მარტს საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა პირველი დაპატიმრების ორდერები გასცა.

დე ფაქტო საგარეო უწყების ცნობით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არალეგიტიმურია და არანაირი პერსპექტივა არ ექნება.

2008 წლის აგვისტოს ომს საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე და 14 პოლიციელი შეეწირა. თავდაცვის სამინისტროს ბოლო მონაცემებით, დაღუპულად მიიჩნევა 169 სამხედრო. ომის დროს დაიჭრა 1747 ადამიანი. საკუთარი სახლი დატოვა თითქმის 150 000-მა პირმა, მათგან დღემდე დევნილობაში რჩება 30 000-მდე ადამიანი.

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საქართველომ კონტროლი დაკარგა 189 სოფელზე, მათგან 125 დღემდე რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის ქვეშაა.

ახალი წელი საქართველოში

მე-7 გვერდიდან

სალამო ჟამს დიასახლისი შეუდგებოდა საახალწლო კვერების გამოცხობას. პირველად გამოაცხობდნენ ბასილას, რომელსაც გრძელი წვერი და ნიგვზის თვალები ჰქონდა. შემდეგ აცხობდნენ: „ხარის ქედის“ მრგვალ კვერებს, ცხვრის „ბუჭუნას“, რომლის ცომსაც სახრეზე დაახვედნენ და ისე გამოაცხობდნენ, „ბედის პური“ ცხვებოდა დიდი და შიგ ატანდნენ თეთრ აბაზიანს.

შემდეგ დიასახლისი აცხობდა „ბანის პურებს“ და „ქათამ-წინილას“ პურებს, რომელსაც ვაშლის ფორმა ჰქონდა და გარშემო ცომის ნისკარტებს უკეთებდნენ. აცხობდნენ სამეურნეო იარაღების ბედის კვერებსაც: ცელს, გუთანს, ძროხის ძუძუებს, პურის ორმოს, ქერისას და დიკისას.

ამის შემდეგ სახლის უფროსი კვერებს საახალწლო ტაბლაზე დაალაგებდა. შუაში ესვენა ბასილა, რომელსაც ხელები გულზე ჰქონდა გადაჯვარედინებული. თავთან და ფეხებთან ბასილას ბანის პურებს დაუდებდნენ. ტაბლაზე დადებდნენ თაფლიან ჯამს, ჰალვას, გოზინას და ტყვიას. ამ ტაბლას ოჯახის უფროსი კერასთან მიდგამდა.

მამლის ყივილისას ამ ტაბლას აიღებდა, ავიდოდა სახლის ბანზე და დარბაზის გვირგვინს სამჯერ შემოუვლიდა ლოცვით; „ერდოსა შენსა შემოვდგი ფეხი, ჩემო ცოლშვილო გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, გწყალობდეს წმ. ბასილას მადლი.“

მეკვლე სახლში შესვლის დროს ასეთ ლექსს წარმოთქვამდა:

**„ახალ წელიწადს, წლის თავსა
გიკვლევ ვაზისა ქითამცა,
შენიცა სახლი ავსილა ტყავკაზარბაზითამცა;
ცხენზედაც შაგისხდებიან მშვილდისრიანნი,
ხმლითამცა,
კარზედამც მოგადგებიან ცხენჯორამაფრაშითამცა;
ტანდზედამც დაგიდგებიან
თავ-ოქრო-გვირგვინითამცა,
მტერი სულ დაგიბმრავდების ეშმაკი
ხმალით — ცითამცა
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს,
მოყვარე მრავალ გზითამცა;
პურ-ღვინო დაუღვეელი, ვით მონადირე წყლითამცა;
სიცოცხლე გახარებული, მოუწყინარი დლითამცა;
ასრე დასტუბი ამ ქვეყანას,
ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა,
უხვადაც მოგეცემოდეთ
თვალ-მარგალიტი ზღვითამცა.“**

ქსნის ხეობაში ტრადიცია, რომ ახალი წლის ღამეს მხიარულად, ხვავიან-ბარაქიანად უნდა შეხვდეთ და მიპვლიც „კარბი ფეხის“ იყოს, წარუშლელი და გაუფრთხილებელი... ჰველა ოჯახს მაინც აქვს განსაკუთრებული ტრადიცია... არსებობს აღაზინების ცხოვრებაში განსაკუთრებული ახალი წელიც. სწორედ ამ ტრადიციებზე გვესაუბრებიან ჩვენი რესპონდენტები:

ნინო თეზიაშვილი-ბაშარული, ახალგორის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბალების გაერთიანების ბუღალტერი:

უპირველესად ჩვენი გაზეთის „ახალგორის“ მკითხველებს ვულოცავ ახალ წელს. იმ ნატვრას გავახმოვანებ, რაც გულში გვაქვს უკვე მეთორმეტე წელია. ვნატვრობთ, რომ მომავალი ახალი წელი ახალგორში გვეზიგოს და თითოეულ მკითხველსაც ამასვე ვუსურვებ.

ყველაზე ლამაზი ახალი წელი და საახალწლო სამზადისი ახალგორის მოგონებებს ახლავს... ჩვენი ოჯახი საახალწლოდ ცხრაძმის ხეობაში სოფელ დაბაკნეთში ვხვდებოდით. სიმშვიდე, ულამაზესი დათოვლილი მთები და ტყე... თოვლზე ანთებულ ცეცხლზე მწვადების შიშინის გარდა ასეთი ტრადიცია გვქონდა: პურს ვაცხობდით ფურნეში და გამოცხობის დროს კაკლის ლებანს ვუდებდით, ოჯახის ყველა წევრზე ცხვებოდა თავის სახელობის პური, ოჯახში მერამდენიც იყავი იმდენი ლებანი ჰქონდა პურს.

„მამა თოვლის პაპა ეპონათ“

ილიას, საქართველოს უგვირგვინო მეფეს, უბრძანებია: კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო...’ეს სიბრძნე სრულიად შეესაბამება ქსნისხეობელ „კაი ყმას“ ჯუმბერ ბალხამიშვილს, რომელმაც მთელი ცხოვრება მეცხვარეობის დარგის აღმავლობას მიუძღვნა თავისი ალალი, მუყაითი, ვაჟკაცური და მუხლჩაუხრელი შრომით... ის დღეს ამ ქვეყნად აღარ არის, მაგრამ კვალე ცოცხლობს მისი მეუღლე ვენერას, შვილების – გიას, ნონას და ფიქრიას, ასევე ქსნიეობელთა ხსოვნაში.

მეცხვარეები თითქმის 9 თვე სახლში ვერ მოდიოდნენ, ყიზლარის ზამთრის საზოვრებზე ატარებდნენ ზამთარს... ჯუმბერ ბალხამიშვილის მეუღლეს ქალბატონ ვენერას – კეთილ, ტკბილმოუბარ და ამგდარ მანდილოსანს ვკითხეთ, როგორი ტრადიცია ჰქონდათ ოჯახში საახალწლოდ.

აი, რა მოგვწერა მან:

– ახალი წლისთვის ორი დღით ადრე ვინცებდით სამზადისს. მოგეხსენებათ, სოფელში არფერი გვიჭირდა, ყველაფერი ოჯახში გვქონდა და გვყავდა, არაფრის ყიდვა არ გვჭირდებოდა. ფურნეში ვაცხობდით ბედის კვერებს, ხაჭაპურს, ნაზუქებს. ბედისკვერები ცხვებოდა ოჯახის წევრებისთვის და ნიგვზის ლებნებით ვნიშნავდით, რომ გაგვეგო რომელი ბედის კვერი ვისი იყო. 31 დეკემბერს ათი საათიდან ვინცებდით სუფრის გაშლას. ბავშვები მხიარულობდნენ, ხალისობდნენ და მხმარებოდნენ სუფრის გაშლაში. ოჯახში მყავდა ასაკოვანი მამამთილი სანდრო, დადემამთილი ელისაბედი, მათგან ვისწავლე მთის ტრადიციები. ჯუმბერი (მიშა) სულ საქმეზე, სამსახურში დადიოდა. მასხოვს, ერთხელ ყიზლარში იყო წასული, არ ვიცოდით როდის უნდა ჩამოსულიყო. ბავშვები ისხდნენ და ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, – ეხლა თოვლის პაპა რომ მოვიდეს და ბევრი ტკბილეული მოგვიტანოს... გავიდა დრო და ფეხსაცმლის ბაკუნი გაისმა. კარები გაიღო და შემოვიდა სულ დათოვილი ჯუმბერი. ბავშვებმა წამოიძახეს, თოვლის პაპა მოვიდაო, მაგრამ მალევე იცნეს, – მამა ყოფილაო, მაგრამ მის მოტანილ კანფეტებსა და საჩუქრებზე უარი არ უთქვიათ, გემრიელად შეექცნენ.

ომით დაზარალებული ქალების ახალი ცხოვრება

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბის ფეისბუქ-გვერდზე გამოქვეყნდა წერილი ახალგორჯელი ქალების შესახებ, პროექტის – „დევენილი და ომით დაზარალებული ქალების საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მხარდაჭერა მენარმეობის გზით“ ფარგლებში.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბი აქტიურად მუშაობს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან, განსაკუთრებით კი ორიენტირებულია ქალების ეკონომიკურ გაძლიერებაზე.

პროექტის ფინანსური მხარდაჭერაია ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. პროექტს ახორციელებს ესტონეთის ლტოლვილთა საბჭო და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბი.

ქალებს იმაზე მეტი უბაჰიძლია, ვიდრე გვგონია

შორენა მჭედლიშვილმა ოჯახი ახალგორში შექმნა, მისი შვილებიც იქ დაიბადნენ და ეს საუკეთესო მოგონებაა მისთვის, თუმცა 2008 წლის ომმა შორენას ცხოვრება შეცვალა.

„ახალგორში 15 წელი ვიცხოვრე. 2008 წელს მოხდა ჩვენი იძულებით გადაადგილება. წამოვედით ისე, როგორც ყველა. თავიდან, არაფერი არ წამოვიღეთ. გვექონდა იმედი რომ, უკან მალე დავბრუნდებოდით. სამწუხაროდ, გავაცნობიერეთ რომ, ეს არ მოხდებოდა. ბავშვების იქ ყოფნაც, შეუძლებელი იქნებოდა. გინდა არ გინდა, შიმის სინდრომი მაინც არსებობდა. მერე ნელ-ნელა წამოვიღეთ, რაც ჩვენი იყო. მაგრამ დედამთილ-მამამთილი დარჩნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ისინიც მიხვდნენ რომ, შვილების და შვილობილების გარეშე ცხოვრება გაუჭირდებოდათ და წამოვიდნენ. ადამიანი თითქოს, ყველაფერს ერგე-



ვა და ეგუება, მაგრამ იმდენად ხშირად ვსაუბრობთ ოჯახში და ვიგონებთ ახალგორს, დაბრუნება ერთადერთი სურვილია“, - ამბობს შორენა მჭედლიშვილი.

სოფელ იკოთის საჯარო სკოლაში, მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა. წეროვანში დასახლების შემდეგაც საკუთარი პროფესიით მუშაობა გააგრძელა წეროვნის საჯარო სკოლაში. სკოლაში 22 წლიანი მუშაობის შემდეგ, გადამწყვიტა რომ პედაგოგიური მოღვაწეობისთვის თავი დაენებებინა. თავის საქმე ძალიან ენატრებოდა, მაგრამ ღირებულებების გადაფასებამ საბოლოოდ ამ გადამწყვიტებამდე მიიყვანა.

ადამიანები, რომლებსაც ჩვენ დევნილებს ვუ-



ჩვენი ესთეტიკური ცენტრის განვითარებას ხელს უწყობს მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბი. მათი პროექტის შესახებ მაგობარმა მიტხრა. დავწერა ბიზნეს გეგმა და დაფინანსებას მივიღე.

ნოდებთ, საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან და ახალ ცხოვრებასთან ერთად, ახალი პროფესიებიც შეიძინეს. შორენა მჭედლიშვილიც გამონაკლისი არ აღმოჩნდა.

წეროვანის დევნილთა დასახლებაში, ლაზერული ეპილაციის ოთახი „Innova esthetic house“ - ი ერთი წლის წინ გაიხსნა. „როცა წეროვანში დავსახლდით, ჯერ სურსათის მაღაზია გვექონდა, შემდეგ, მეორადი ტანსაცმლის, მაგრამ იმდენად ბევრი იყო ასეთი მაღაზიები, ოჯახში გაჩნდა აზრი რომ, აუცილებელი იყო, ჩვენი ბიზნესი შეგვეცვალა. ძალიან ბევრი ვიფიქრეთ და ბოლოს მივედით იმ რეალობამდე რომ, ამხელა დასახლებაში, არ არსებობდა ყველაზე მოთხოვნადი პროცედურა, ლაზერული ეპილაციის. დღევანდელი გადასახედიდან ვთვლი რომ, სწორი გადამწყვეტილება მივიღე. მიუხედავად იმისა რომ, სილამაზის სალონები ძალიან ბევრია და მეტ-ნაკლებად კონკურენცია არსებობს, ლაზერული ეპილაციის ოთახი, მხოლოდ ჩვენ გვაქვს. გარდა ამისა, ჩვენ არ გვეშინია კონკურენციის. პირიქით, კონკურენცია გვაძლიერებს“.

„ჩვენი ესთეტიკური ცენტრის „Innova esthetic house“-ის განვითარებას ხელი შეუწყო მცხეთა-მთიანეთის რეგიონულმა ჰაბმა. ამ ორგანიზაციის პროექტის შესახებ რომ გავიგე, დავწერე ბიზნეს გეგმა და დაფინანსებაც მივიღე. მათი დახმარებით, ჩვენს ესთეტიკურ ცენტრს დაემატა ხალხის მიერ მოთხოვნადი პროცედურები. თუმცა ვეცდებით, კიდევ უფრო მეტი და სრულყოფილი მომსახურება შევთავაზოთ ჩვენს ერთგულ მომხმარებელს. მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ ჰაბს მადლობა მინდა ვუთხრა, რადგან მათი პროექტის მეშვეობით მივხვდი, რომ ყოველთვის შეიძლება, კიდევ უფრო განვითარდე და განავითარო, თუნდაც უკვე არსებული ბიზნესი“.

ესთეტიკურ ცენტრს მუდმივი მომხმარებლები ყავს: ნილკანში, ზემო წეროვანში, მცხეთაში და ასევე ჩარდახში. შორენა მჭედლიშვილი ამბობს, რომ: „ერთი კმაყოფილი ადამიანი უდრის ას მომხმარებელს. ამიტომ მე ვურჩევ ყველა ქალს, რომ იბრძოლონ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, რადგან ჩვენ, ქალებს, იმაზე მეტი შეგვიძლია, ვიდრე გვგონია. მეც არ მეგონა, რომ ამდენის გაკეთება შემიძლო, თურმე იმაზე ძლიერი ვყოფილვარ, ვიდრე მეგონა“.

ქალთა ნამუშევრების გაყოფნაზე

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბის ორგანიზებით და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, 10 დეკემბერს, ქალაქ მცხეთაში გაიმართა მენარმე ქალების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

გამოფენა მიზნად ისახავდა, მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბის მიერ, 16 დღიანი კამპანიის შეჯამებას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიოს 187 ქვეყანაში 1991 წლიდან აღინიშნება.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბი, ესტონეთის ლტოლვილთა საბჭოსა და ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს: დევნილი და ომით დაზარალებული ქალების საარსებო წყაროების მხარდაჭერა მენარმეობის გზით საქართველოში. პროექტის ფარგლებში ჯამში 90-მა ომით დაზარალებულმა ქალმა მიიღო სამენარმეო გრანტი.



ფოტოზე ხედავთ პროექტის მონაწილე ესმა ქენქაძეს, რომლის ნამუშევრითაც დაინტერესდა ქალაქ მცხეთის მერი ილია ზურაბიშვილი.

სხვა ფოტოებზეც ესმას ნამუშევრებია გამოსახული. ესმა პროფესიით ფილოლოგია, თუმცა, რამდენიმე წელია, მინანქრის სამკაულების დამზადება შეისწავლა. ბუნებრივი ქვებით დამზადებული მისი ნამუშევრები ხშირად ამშვენებს სხვადასხვა გამოფენა-გაყიდვის კუთხეებს.



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) ახსნავს საბრანტო კონკურსს სთავაშო პროექტების მხარდასაჭერად

კონკურსის მიზანი:

იმ სათემო პროექტების/ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი, სათემო ორგანიზაციებისა და აქტივისტთა ჯგუფების გაძლიერებასა და მათი შესაძლებლობების განვითარებას როგორც საზოგადოებრივი ნდობის მოპოვების, ისე ადგილებზე არსებული შესაძლებლობების/რესურსების ეფექტურად გამოყენების კუთხით და, ამ მხრივ, გააუმჯობესებს სამოქალაქო სექტორის იმიჯს, მოქნილობასა და ფინანსურ მდგრადობას.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია, ააიპ სტატუსის მქონე, მოქმედ საზოგადოებრივ ან სათემო ორგანიზაციას, ასევე, საინიციატივო/აქტივისტთა ჯგუფს. ორგანიზაციას/ჯგუფს შეუძლია კონკურსში ერთზე მეტი საგრანტო განაცხადის წარმოდგენა. თუმცა, ერთ ორგანიზაციაზე/ჯგუფზე გაიცემა არაუმეტეს ერთი გრანტისა.

უპირატესობა მიენიჭება:

ახალბედა ორგანიზაციებს / აქტივისტთა ჯგუფებს (სულ მცირე ერთი წლის ისტორიით);

რეგიონებში მოქმედ ორგანიზაციებს;

მონაცვლად თემზე (მთიანი რეგიონები, ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებული სოფლები, ეთნიკური/რელიგიური უმცირესობები, შშმპ და სხვ.) მიმართულ ინიციატივებს.

იმ საპროექტო განაცხადებს, სადაც უზრუნველყოფილია საქმიანობებში ქალების, სხვადასხვა უმცირესობების ან მონაცვლადი ჯგუფების ჩართულობა.

წარსადაგენი განაცხადის სრული პაკეტი მოიცავს შემდეგ დოკუმენტაციას:

პროექტის განაცხადი - მომზადებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც თან ერთვის საკონკურსო განაცხადებს.

დანართი №1 - პროექტის საქმიანობის გეგმა - მომზადებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც თან ერთვის საკონკურსო განაცხადებს.

დანართი №2 - დეტალური ბიუჯეტი - მომზადებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც თან ერთვის საკონკურსო განაცხადებს.

საგრანტო პროექტის განმახორციელებელი გუნდის ძირითადი წევრების რეზიუმეები (R.V).

განმცხადებლების ბოლო 6 თვის მანძილზე განახლებული ამონაწერი იურიდიულ პირთა რეესტრიდან (რეგისტრირებული ჯგუფის შემთხვევაში).

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა/ჯგუფებმა განაცხადის სრული პაკეტი უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: STAR.community.grants@gmail.com

გამოგზავნის შემდეგ მიიღებთ საპასუხო წერილს იმის თაობაზე, რომ თქვენი განაცხადი მიღებულია.

განაცხადების ელ-ფოსტით გამოგზავნის ბოლო ვადაა 2023 წლის 17 იანვარი, 24:00 საათი.

საკონტაქტო პირი: ანა ნადირაშვილი, გრანტების მენეჯერი.

სოფელ წილკანში, პროექტის – „კლიმატის საგანმანათლებლო პროგრამა - სატყეო სკოლა“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა

სოფელ წილკანში, პროექტის – „კლიმატის საგანმანათლებლო პროგრამა - სატყეო სკოლა“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა.

პროექტი გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, რომლის მიზანი წეროვანის და წილკანის დევნილთა დასახლებებში მცხოვრები მოსწავლეებისთვის კლიმატის ცვლილების, მასთან ბრძოლისა და ადაპტაციის ღონისძიებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაა.



კლიმატის ცვლილების შედეგად მიყენებული ზარალი და ზიანი ასუსტებს საზოგადოებისა და ეკოსისტემების კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის უნარს და ზრდის მათ მონყევადობას. ამიტომ, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა სახის ზარალი და ზიანი უკვე სახეზე და როგორ შევამციროთ ის.

საკვირაო სატყეო სკოლის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე სავსელ სწავლებას. პროგრამაში მონაწილეობა ოცდაათამდე მოსწავლემ მიიღო. პროექტის ფარგლებში, ვიდუოკონკურსის – „კლიმატგონივრული ქმედება“ სამი გამარჯვებული გამოვლინდა, რომელთაც სპეციალური ჯილდოები გადაეცათ.

ღონისძიების ფარგლებში, წილკანის წმინდა გიორგის სალოცავის მიმდებარე ტყის აღდგენის ღონისძიებები განხორციელდა – დასუფთავებისა და დარგვის აქციაში მონაწილეობა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და მოხალისეებმა მიიღეს.

სწავლება მიმდინარეობდა 29 ოქტომბრიდან 3 დეკემბრამდე.

პროექტი არასამთავრობო ორგანიზაციების „ფორესტ მეთერსი“ (Forest Matters), „კლაიმატ ბეიზიქსი“ (Climate Basics) და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბის მიერ იყო ორგანიზებული.

(ა)იპ „კლაიმატ ბეიზიქსი“ დაფუძნდა 2020 წელს, საქართველოს დედაქალაქ თბილისში. არაკომერციული ანალიტიკური ორგანიზაცია მოხალისეობრივ საქმიანობას ეფუძნება და კლიმატის ცვლილების და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, სამართლის და ანალიზის სფეროებში ახორციელებს საქმიანობას.

ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ციფრული ტრანსფორმაციის ცენტრმა (DTC) დაიწყო რეგისტრაცია გოგონების მოზაღვის საერთაშორისო პროექტში Technovation Girls



პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ 13-დან 18 წლამდე გოგონებსა და მოხალისე მენტორებს, საქართველოს ნებისმიერი წერტილიდან.

Technovation Girls საერთაშორისო პროექტია, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ყოველწლიურად იმართება და გულისხმობს გოგონების მომზადებას პროგრამირებასა და მენარმეობაში, მათ გარშემო არსებული კონკრეტული პრობლემების გადაჭრის ტექნოლოგიური გზის საპოვნელად.

მონაწილეები ისწავლიან ტექნოლოგიური პროდუქტების შემუშავებას და გუნდურად შექმნიან მობილური აპლიკაციის ან ხელოვნური ინტელექტის პროტოტიპებს თემის პრობლემების გადასაწყვეტად. თითოეულ გუნდში შესაძლებელია იყოს 1-5 მოსწავლე. პროექტი ხორციელდება ორი ასაკობრივი ჯგუფისთვის - 13-15 წელი და 16-18 წელი.

Technovation Girls - საქართველოს 2023 წლის გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით. ყველა გუნდს ასევე ექნება შესაძლებლობა, ჩაერთოს გლობალურ შეჯიბრში, რომლის ფინალი კალიფორნიაში ჩატარდება.

Technovation Girls ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში 2023 წელს Alte University • ალტე უნივერსიტეტია.

პროექტის მედიაპარტნიორია Forbes Woman Georgia.

პროექტის პარტნიორები არიან: GITA • Tech Park, STEM მასწავლებელთა ასოციაცია.

რეგისტრაცია გაგრძელდება 15 იანვრამდე. გოგონების და მენტორების სარეგისტრაციო ფორმების შევსებას შეძლებთ ციფრული ტრანსფორმაციის ცენტრის ფეისბუქგვერდზე.

„ხვალ უსათუოდ მეტნი ვიქნებოი“

„ნუ ხარობ, მტერო, სულ ამაოა, ხვალ უსათუოდ მეტნი ვიქნებით“... წერს სოფო ბაშარული და მის გულისძგერას, მის არაჩვეულებრივ პოეზიას „მზე ამოჰყავს“ და პატრონობს თავის წილ სამოთხეს საქართველოსი...



ის საჯარო მოხელე და 4 შვილის დედაა... „პოეტი სევდას ვერასდროს მალავს“ და სოფოსაც აღელვებს საზღვრებშემოფლეთილი თავისი ქვეყნის ბედი და მომავალი...

რა ფართო გზებით დადის მავანი, ვარ ბენვის ხიდზე გავლას ნაჩვევი, ვისა რგებია დაფნა მრავალი, და ოვაცია, იქნებ, საჩვენოც.. ბედი მითხარ და დამდე სანაგვეს, რამდენს კუთვნილი არა და არ აქვს, ბრძენი სოფელში როდისმე აქვს? – სიკვდილის მერე კი დასდებენ ფასს.

უქმად ჯდომას უქმად შრომა სჯობიაო, დავიღალე უსაქმურთა ყურებით. ეს ცხოვრება ზოგს რა გრძელი ჰგონია და ეჩქარება, მიკვირს, არსად სრულებით. მეჩვენება, ვერ გაიგო კაცთაგანმა, რატომ გაჩნდა ამქვეყნად და რისთვისა? ყოფნა რადგან ველარ გაისიგრძეგანა სულ იოლად ცოდვები შეითვისა. ეგ რომ ფიქრობს, არც ეგრეა ყველაფერი. ნამებსა და წლებს ხომ მხოლოდ ცა აითვლის. ყველა საქმე იმპულსურად სადღაც მიდის, ფოკუსდება ყოველივე, რაც აქ ითქმის... გეკითხები: გეჩქარება ისევ არსად, – ისევ ნელა უნდა განვლო ეს ცხოვრება? შენი ყოფა იმ რუტინას დაემსგავსა, რომ ტრიალებს და არსად არ ედგომება. აბა, ჩქარა, გასწი მარდად მიზნებისკენ... ჩქარა, ჩქარა, სურვილს ხელი შეაშველე. დაშვებულა ცის კიდიდან მზისფერ ტალღად შეძელი და ერთი წამით შეაჩერე!..

დედას

მას მერე კითხვა მანამებს, დედი, შენ მიღალატე, თუ გლალატობდი? მორიგეობით იფეთქებს დენთი, და ნამსხვრევებით მევსება მკერდი. ვხსნი... ვეძებ... ვფიქრობ... თავიდან ვინყებ... ჰორიზონტს აპობს დღე-პატარძალა, უკიდურესად როდესაც ვინყენ, კვლავ ჩემთან ჩნდები და მაძლევ ძალას. ასე მგონია, რომ ისევ ბალღი ვარ და მიველტვი ამ ნავსაყუდელს. ქართან ჩურჩული მომესმის ღალღის, დროც ჩერდება და შენს გზას გავყურებ.

„ზამთრის სიცივეს“, როგორც შენ გრძნობდი, ახლა ხომ მეტი ახლავს ვაება, კდემამოსილი, მშვიდი ცხოვრებით ხარ ჩემი დიდი გარდაცვალება.

28.05.2020

ყალბსაქმოსნების ფუსფუსი მზარავს, საშიში არის უვიცი კაცი, რა არ მოუვა უმეცარს აზრად ზრახვა ავი და სასჯელი მკაცრი... და გულის ძგერა არ ემთხვევა ,მამულო,შენსას, ამოების ბაზარია,სხვა არაფერი... საკუთარ თავის დასაკლავად ორლესულს ლესავს, სად გაგონილა ამბავი და საქმე ამფერი?!

მამა

მამაჩემი მიყვარს მართალი სიძლიერით, ქარი ღრუბლებს რიყავს აქ ძალით ზეციერით. როცა სული რჩება სარკედ პატიოსნების, ბოროტება კვდება, წყარო დასნებოვნების... მხოლოდ მართალს ხვდება მათრახები სულზე და კეთილი ნება განერია შუბლზე.

...

ვიდრემდის ვიყავი, ვიცხოვრე ლამაზად, ასევე ამაყად და მშვიდად წავედი. ცხრაზმის პარმალიდან დავეშვი არმაზად, ბოლომდე შევიტკებ ბედი-სიმწარეთი. მოვა დრო და ამას მტერიც აღიარებს, რომ ქვეყნად სახელი დიდკაცის დავტოვე. უფალო, მიმიღე, იქ ქარი ღრიალებს, სისუსტედ ვირჩიე სიკეთე მარტოდენ. ძლიერი ოჯახი ქვიტკირით ვაშენე, ამაღ არაფერი მე აღარ მაშინებს: კეთილი საქმისთვის, ვიცი, ივარგებენ და მამას პატივსაც ამით მიაგებენ.

ვიცი

მე აღარ ვიცი, ვინ ვარ, ავი ჩამძახის ავად... ყოველდღე ვკარგავ მიზანს, თავიდან ვინყებ მთავარს: ვის ერკინება არვინ, ის იბადება არც კი. მე კი, მრავალჯერ ნაგვემს, მებრძვის ძვაბრა და აზრი... და ჩასაფრებულს, მხოლოდ საკუთარ თავის მიმართ, როდი მაცდუნებს ეშმა, ვუნცი სად გადავეშვა. რა მაძლიერებს ისიც, რა – სისუსტეა ჩემი... და საიდუმლო ფიცით ვიცი,სამყარო, ვიცი!

„სანამ ხარ, ისე დადექი მზისკენ, რომ ყველა სხივი გადატყდეს შენში“.

ოთარ ჭილაძე

ცოდვა ცოდვაა – ჩადენილი გულით, უგულოდ, – ერთ მარაქში გარეულა ორივე უთუოდ. აბა, მითხარი, რას დაარქმევ ცოდვას ბუნების? – გეძალება და დაგატარებს მაცდურ ჰუნებით. ავბედით ცოდვით იძირება მთელი მსოფლიო, ეცადო, იქნებ, პური ჭამო, ალალ ოფლითო.. რამეთუ უნცი, მხოლოდ ასე, შენში მყოფადობს, უფალი სხივთა უცნაური უკვდავყოფითო.

„ჩემი ოჯახი ჩემი სიხე-სიმაგრეა, ქსნის ხეობაში დაფუძნებული“

ნონა ბალხამიშვილ-ჯანაშვილი

სამშობლოდან შორს ყოფნის სიძნელეზე უფრო ძნელია ოკუპირებულ ბავშვობის საბუნდარზე ფიქრი... როცა საქართველოში შვეპულებით დაბრუნებულს არ გაქვს საშუალება, შენს ჭერქვეშ გაატარო სიხარულის დღეები, დატკბე იმ ბუნების სილამაზით, სადაც გაიზარდე, სადაც ცხოვრობის ულამაზესი წლები გაატარე...



ნონა ბალხამიშვილ-ჯანაშვილი ახალგორიდან არის. დღეს ისრაელში ცხოვრობს ოჯახთან ერთად. მეუღლე მიხეილ ჯანაშვილიც ახალგორელია, სოფელ იკოთიდან. სიყვარულით შექმნილი და ნასაზრდოები მათი ოჯახი მართლა ციხე-სიმაგრესავითაა, შვილებსაც ასე ზრდიან... ორივესთვის ახალგორი, ქსნის ხეობა აღმატებული სიყვარული და ნოსტალგიაა.

მზისგულა ქალბატონის ნაამბობი ერთი გულწრფელი აღსარებაა მკითხველის წინაშე, თუ რას განიცდის სამშობლოდან შორს, როგორ ცხოვრობს ოჯახთან ერთად საქართველოს სიყვარულით...

— ისრაელში 1997 წელს ჩამოვედით მუდმივად საცხოვრებლად. 25 წელია, რაც აქ ვცხოვრობთ, ზუსტად იმდენი, რაც საქართველოში ვიცხოვრე. ორივე ქვეყანა ძალიან მიყვარს, მაგრამ საქართველო ჩემი სული და გულია. საქართველო, როგორც ჩემი მეუღლე ამბობს, სამოთხეა დედამიწაზე, ყველაზე ლამაზი ქვეყანაა მსოფლიოში. საქართველოში ჩასული ვტკბები ყოველი გათენებული დღით, ყოველი პეიზაჟით და ათასჯერ ვიმეორებ: ღმერთო, რა ლამაზია ჩემი ქვეყანა!..

ძალიან მენატრება დღეს ოკუპირებული ჩვენი ულამაზესი ქსნის ხეობა, მენატრება ჩემი პატარა სოფელი ჭორჭოხი და ჩემი ლამაზი სახლი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, მენატრება იქ დაღამებული ყოველი დღე და გათენებული დილა, ვარდების და იასამნების სურნელით გაჯერებული. მენატრება გზა, რომელიც ჩემი სახლისკენ მიდის, აქეთ-იქით ხეხილიანი ედემის ბაღებით დამშვენებული, ყელის ტბიდან მომავალი ქსნის წყნარი დუღუნი... კიდევ საფლავები მენატრება, ჩემი ძვირფასი ადამიანების საფლავები...

ძალიან კარგი, ლალი ბავშვობა მქონდა ჩემს სოფელში. განებივრებული არ ვყოფილვარ, მაგრამ კარგ გარემოში ვიზრდებოდი. მიყვარდა სკოლა და ჩემი მასწავლებლები. მე და ჩემი და-ძმა კარგად ვსწავლობდით, მშობლებს ძალიან უხაროდათ, ჩემს ძმას რომ ქების სიგელები მოჰქონდა სკოლიდან, რომლითაც მაშინ წარჩინებულ, ფრიადოსან ბავშვებს აჯილდოვებდნენ.

ჩემი მშობლები — ჯუმბერ (მიშა) და ლეილა (ვენერა) ბალხამიშვილები დიდი სიყვარულით შეუღლდნენ. მამა — ჩემი სიამაყე — ძალიან ჭკვიანი და ნიჭიერი კაცი იყო. სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა და ყველგან წარმატებით გამოირჩეოდა. პატიოსნად შრომობდა მთელი თავისი სიცოცხლე, ხალხს უყვარდა, პატივს სცემდნენ და დიდად აფასებდნენ. ახლაც ხშირად ვკითხულობ ხოლმე მის შესახებ გაზეთში

დაბეჭდილ წერილებს, რომლებიც თან წამოვიღე ისრაელში. მახსოვს, ალბათ, სამი წლის ვიქნებოდი, რადიო რომ გადასცეს საჩუქრად. მე გავუტყუე... უზომოდ მიჭირს, რომ დღეს მამაზე წარსულში ვსაუბრობ, რომ ჩვენ გვერდით აღარ არის. ძალიან მენატრება ჩემი საყვარელი მამა, ჩვენ ერთმანეთს ვგავდით და ძალიან კარგად ვუგებდით...

დედაჩემი ლამაზი, ძლიერი და კეთილი ქალია, სტუმართმოყვარე. ზუსტად ისეთია, მაგალითი რომ უნდა აიღო, როგორი უნდა იყოს დედა, მეუღლე, დისასხლისი და ქართველი ქალი. დედას გარეშე სახლი არ მიყვარს. თუ სახლში არ არის, მგონია, რომ კედლებიც კი დაღონებულები არიან. მინდა, რომ დიდხანს და ჯანმრთელად მყავდეს ჩემი ტკბილი დედიკო.

ბავშვობაში მეგონა, რომ უკვდავები იყვნენ ჩემი მშობლები, რომლებმაც სამი შვილი გაგვზარდეს და ჩვენით ძალიან ამაცობენ. მყავს და, ფიქრია და ძმა — გია, რომლებიც საკუთარ თავზე მეტად მიყვარან. ორივე დაოჯახებულია. კარგად არიან. როცა დედამამიშვილი კარგად გყავს, კიდევ უფრო ბედნიერი ხარ.



ნონა, გია და ფიქრია ბალხამიშვილები დედასთან ვენერასთან ერთად

ჩემი ოჯახი ჩემი სამყაროა, რომელიც 28 წლის წინ სიყვარულით შევექმენი მიხეილ ჯანაშვილთან ერთად. ჩემი მეუღლე ძალიან ძვირფასია ჩემთვის. მის გარეშე სიცოცხლე ვერც კი წარმომიდგენია. წლებს ისე გაუძლო ჩვენმა სიყვარულმა, რომ ოდნავი ბზარიც არასდროს გასჩენია. ერთნი ვართ, ერთად ვართ და გვიხარია ერთად ყოფნა.

ქართული, ტრადიციული ოჯახი გვაქვს. ორი ვაჟი გყავს — ჯონი და გიორგი. ჯონი 27 წლისაა, საქართველოში დაიბადა და ისრაელში გაიზარდა. წლის და რვა თვის იყო, აქ რომ ჩამოვედით. სკოლის დამთავრების შემდეგ სამი წელი ისრაელის ჯარში იმსახურა. შემდეგ დაოჯახდა. ჩემი რძალი, ნათია, იკოთელია. მყავს ორი უსაყვარლესი შვილიშვილი — ლინი და ნოი — ჩემი მზე გოგონები.

გიორგი 17 წლისაა. სკოლის მოსწავლეა. ნიჭიერი და ყოჩაღი ბავშვია. სკოლის შემდეგ სამუშაოდ მიდის, 6 საათი მუშაობს, ცვლის უფროსია.

ჩემი მეუღლე მიხეილ (მიშიკო) ჯანაშვილი საქართველოში ავტობუსის მძღოლად მუშაობდა. ძალიან კარგი და გულისხმიერი ადამიანია, ოჯახის, ახლობლების, სამშობლოს გულწრფელად მოყვარული.

მიშიკოს და მის ძმებს — თემოს და ჯონის ახალგორში ყველა იცნობს. მათ „მომშანიჩებს“ ეძახდნენ. ხალხს პატივს სცემდნენ, ყველა გაჭირვებულს ხელს უმართავდნენ და ხალხსაც ძალიან უყვარდა სამივე.



ნონა, მიხეილ, ჯონი და ბიორბი ჯანაშვილები



ჯონი და ნათია შვილებთან – ლინისა და ნოისთან ერთად

ჩემი მამამთილი რობიზონ (შოშმანა) ჯანაშვილი და დედამთილი ვენერა გიგაური ასევე დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდნენ იკოთში. ზოგადად, სოფელში ასე იყო მაშინ. ხალხი ერთმანეთს ხელს უნაგაროდ უმართავდა, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ასე იყვნენ ვენერა და რობიზონიც და შვილებიც ასე გაზარდეს. სამწუხაროდ, დღეს ჩემი დედამთილ-მამამთილი ცოცხლები აღარ არიან, რაც დიდი დანაკლისია ჩვენთვის.

ჩემი უმცროსი მამული თემოც ისრაელში ცხოვრობს ოჯახთან ერთად. ჰყავს მეუღლე — ზანდა და ქალ-ვაჟი — იულია და ზურაბი. დაოჯახებულები არიან, ორივეს ქართველი მეუღლეები ჰყავთ და ცხოვრობენ ბედნიერად.

შუათანა მამული, ჯონი, 37 წლის ასაკში ავტოავარიით დაიღუპა, რაც მთელი ჩვენი ოჯახის დიდი და უსაშველო ტკივილია. ჩემს უფროს შვილს თავისი სახელი სწორედ მან დაარქვა. ის აკლია არა მხოლოდ ჩვენს ოჯახს, არამედ, ალბათ, მთელ ახალგორს. ყველაზე ზრუნავდა, ხალისიანი ადამიანი იყო. მეუღლე და ორი შვილი დარჩა. მის დატოვებულ ოჯახს შესანიშ-

ნავად უძღვება მისი მეუღლე, ია. შვილები — რობი და გვანცა დაოჯახებულები არიან. ასე მგონია, ჯონი ცოცხალი რომ იყოს, ჩვენი ცხოვრება უფრო ხალისიანი იქნებოდა, არც მისი ძმები ივლიდნენ ფრთამოტეხილებივით და მისი ოჯახიც უფრო ლაღად იქნებოდა... სხვათა შორის, ჯონიმ ვერ შეძლო ისრაელში ცხოვრება. სტუმრად იყო ჩამოსული, მაგრამ აქ სამუდამოდ დარჩენაზე არასდროს უფიქრია, ძალიან უყვარდა თავისი სოფელი და რაიონი...

ჩემს მეუღლესა და მამულებზე დედობრივი ამაგი აქვთ დედამთილის დებს — დალი და გემნო გიგაურებს, რომლებსაც საკუთარი ოჯახები არ შეუქმნიათ და დისშვილებზე ზრუნავდნენ საკუთარი შვილებივით. სამწუხაროდ, დალი აღარ არის ცოცხალი. მადლობა მათ განეული ზრუნვისა და სიყვარულისთვის.

ემიგრაციის სირთულები ჩვენს ოჯახსაც შეეხო, რა თქმა უნდა. ძნელი იყო უცხო ქვეყანაში ახალი ცხოვრების დაწყება. იმის მიუხედავად, რომ ჩვენ აქ დაგვკვდა ნათესავების ოჯახი, რომელსაც საქართველოდან ვიცნობდით, მაინც გაგვიჭირდა ახალ გარემოსთან შეგუება, მაგრამ დღეს რომ ვაანალიზებ, ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება იყო აქ წამოსვლა, მიუხედავად იმ სიძნელებისა, რაც გავიარეთ.

მეც და მიშოცოც პროფესიით ვმუშაობთ. მე, როგორც საქართველოში, ექვანი ვარ ერთ-ერთ სამედიცინო დანესებულებაში, მიშოცო სატრანსპორტო-გადამზიდავი კომპანიის თანამშრომელია.

რა მიყვარს? — სიცოცხლე მიყვარს, ჩემი სახელი და გვარი, ჩემი დაბადების დღე. ის დღე მიყვარს, საქართველოში რომ მივდივარ, სიახლე მიყვარს, ადამიანები მიყვარს. მიყვარს ყველაფერი, რაც ბრწყინავს. ყვავილები მიყვარს, ფერადი შემოდგომა; მიყვარს ჩემი მეუღლის და შვილების მშობლიური სოფელი იკოთი, ახლობლები, ჩემი სამშობლო — ყველა ძალიან მიყვარს.

არ მომწონს ქილიკით ლაპარაკი, კამათი და აურზაური, არ მიყვარს შურიანი ადამიანი. ასევე, არ მიყვარს დედაჩემისგან ნათქვამი „დედა გენაცვალოს“ და ყოველთვის ვთხოვ ხოლმე, რომ არ მომმართოს ასე.

რას ვნატრობ წმინდა მინაზე? — პირველ რიგში, გეტყვით, რომ ეს ის ქვეყანაა, სადაც ვისურვებდი ცხოვრებას საქართველოს შემდეგ. ხშირად მივდივარ ეკლესიაში, მაცხოვრის საფლავზე, სანთლებს ვანთებ და ვლოცულობ ყველასთვის. ვლოცულობ საქართველოსთვის, რომ ფეხზე დადგეს და გამთლიანდეს, ხალხი გაჭირვების გამო აღარ გარბოდეს ემიგრაციაში, ყველა კარგად და ჯანმრთელად იყოს, უდროოდ არავინ მიდიოდეს ამ ქვეყნიდან. ვნატრობ, რომ ჩემი საქართველოც ისრაელივით ძლიერი და წარმატებული ქვეყანა იყოს.


რა ღირებულებები გადავაფასე? — ალბათ, არც არაფერი. ჩვენ ყველაფერი ერთმანეთისგან განსხვავებული გვაქვს — სარწმუნოება, ადათ-წესები, ურთიერთპატივისცემა, სიყვარული, სტუმართმოყვარეობა. ჩვენ, ქართველები, სხვანაირი, უნიკალური ერი ვართ და ყველაფერი იდეალური ვიცით.

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელში საკმაოდ მყარად ვართ დამკვიდრებულები, მაინც ვიტოვებ იმედს, რომ ჩვენ დავბრუნდებით როგორც საქართველოში, ისე ახალგორში.

შენ ხატი ხარ, მე კი სანთლად
დაბადნები...

ნარბიზა ჯარაილიშვილი

ბევრი ნიჭიერი ქართველი
ქალბატონი გადახვეწა უცხო-
ეთში ბედისწერამ... და რაც
ქალი, ოჯახის დედაბოძი,
საქართველოს საზღვრებს
გასცდა, მისი მხრები არა მარ-
ტო ოჯახის, არამედ ქვეყნის
ბედ-იღბლისა და მომავლის
შემნედ და შემოქმედად იქცა.



არც ახალგორელი ნარგი-
ზა ჯარაილიშვილისათვის იყო იოლი სამშობლოს და-
ტოვება... უცხო ქვეყნის ენასა და წეს-ტრადიციებთან
შეჩვევის მტკივნეულ პროცესს დედისერთა შვილის, ამ
ქვეყნიდან უდროოდ წასული მეუღლის გულზე დაბნეუ-
ლი მინის, ახლობლების მონატრება ახლდა თან...

ქალბატონი ნარგიზა ჯერ საბერძნეთში იყო ემიგ-
რაციაში, ახლა კი იტალიაშია და ქართველი ქალისათ-
ვის დამახასიათებელი შრომისმოყვარეობით, ძლიერ-
ებით, სულიერებითა და უღამაზესი პოეზიით შეძლო
ათასმეერთედ დაემტკიცებინა, რომ წარსულ საუკუ-
ნეებში ლეგენდად ქცეული ქართველი დედის დიდსუ-
ლოვნება, ხასიათის სიმტკიცე და თავდადება კვლავ
გრძელდება და ეს, უპირველესად, სამშობლოდან
შვილების გულისათვის გახიზნული დედების ყოფასა და
განცდებში ისახება.

ლექსს ტკივილი ბადებსო, უთქვამთ და ეს სიბრძნეც
ყველაზე მეტად ემიგრანტებს ეხებათ. სწორედ პოეზი-
ასთან თანაზიარობით ებრძვის ნოსტალგიის მტკივნეულ
გრძნობას ნიჭიერი ქალბატონი და პოეზიაა მისი სულის
თავშესაფარიც.

სიმღერა

შენ ხატი ხარ, მე კი სანთლად დაგადნები,
შენს მინაზე თუნდაც მოკვდე, არ ვინანებ,
რომ გეტკინოს, მალამოდაც დაგედები,
დავიძახებ, რომ მიყვარხარ, საქართველო!
მე სამშობლოს სიყვარულმა ამაღელვა,
სატკივარმა სატკივარი გამიჩინა,
როგორ მინდა, დავიძახო მე ხმამაღლა,
საქართველომ სიყვარული დამიჩინა!
შენთვის მოკვდე, შენვე მინა დამყარე,
სიღარიბეც, საქართველოს რად გამყარე?!
აღორძინდი, დალოცვილო საქართველოც,
ქართველების თბილი გული გაახარე!..

მეათე გაზაფხული ემიგრაციაში

დღეს გაზაფხულის პირველი დღეა,
მე კი მეათედ მომადგა კარზე, –
რაც სხვის გაზაფხულს, სხვის ჰაერს ვსუნთქავ,
ვერ გამიგია, ვისჯები რაზე...
გავყურებ მხოლოდ ჩამწკრივებულ სახლის აივნებს,
სუნთქვა მეკვრება,

აქ მე ვერ ვგრძნობ ყვავილთა სურნელს,
გავყურებ ზეცას,
თვალწინ დამიდგა ჩემი სამშობლო,
და რა მაცინებს, ნეტავ, მე სულელს...
აყვავებულა ატმის ხეები,
აგერ, ტყემალსაც ასკდება კვირტი,
თავს დამჭიკჭიკებს, რა უნდა იყოს,
მერცხალია თუ გულლია ჩიტი?..
თითქოს დავმშვიდდი, თვალი დავხუჭე,
ჩემი სამშობლოს ჰაერს ვსუნთქავდი,
თვალდახუჭული, გაზაფხულის დღეს,
თითქოს ჩურჩულით რამეს ვუთქვამდი.
ალბათ ვინატრე, – მერმის გაზაფხულს,
ლმერთო, ჩემ სახლის კერას მამყოფე,
კმარა ამდენი ტანჯვა და ფიქრი,
თორემ გულს ორად ველარ გავყოფე მე,
მონატრებისგან ეს ჩემი გული
დაიღალა და დარდით გავკორტენე...

2016 წელი

მინდა, რომ დარჩეს ამ ნაკვალევი

დაბლა მინიდან ცის სილურჯემდე –
ჩემო საქართველო, შენი სუნი მენატრება...
თვალებს რომ ვხუჭავ, მწვანედ მობიბინე ველს
და იმ ველზე წითლად მოფენილ ყაყაჩოს ვხედავ.
და მერე, თითქოს ბავშვური სიცელქით,
იმ ყაყაჩოებს ფეხებით ვთელავ, –
მინდა, რომ დარჩეს იქ ნაკვალევი,
მგზავრს გაუკვირდეს, – ვინ გადათელა?..
მერე კი, მინდა, ყაყაჩოთაგან არცერთი დაჭკენს,
წამოდგეს ყველა...

ხალხის კი არა, თუ დამიჯერებთ
ყაყაჩოსიც კი არ მინდა წყენა.
მაგრამ მე მაინც ალბათ მენია
ვილაცის წყევლა, ან ბედისწერა,
რომ ემიგრანტი დამერქვა ქალი...
ვხედავ, დავბრმავდი მე ორივე თვალით,
რომ ათი წელი მე არ მინახავს,
არცა მშობელი, არც მინა-წყალი...
თვალდახუჭული ვწერ ამ სტრიქონებს,
ალარც კი მინდა თვალის გახელა...
მერე კურცხალი ჩამომივარდა,
ვერ წარმოიდგენთ, იცით, რამხელა?..
ამდენ ტკივილებს გული ველარ სძლევეს,
მიტომ გავბედე თქვენთვის გამხელა.

2016 წელი

ლექსებად განვიმდე, მინდა...

ლექსების სამყაროში მინდა რომ გაცხოვრო,
ლექსებად განვიმდე, მინდა,
მინდა ჩემს სიყვარულს შორიდან განვდიდე
ღრუბლებს მოჰქონდეს ციდან.

იქნებ დავიპყრო ცოტათი შენი გული,
მთლად არა, მხოლოდ ციდა,
სიზმარშიც ვერ გნახე და რომ გავიღვიძე,
ტანში უცნაურად მცრიდა
თითქოს ვიგრძენი, რომ სიყვარულისთვის
ვილაცა ჩუმად მსჯიდა...

კაკლის შურაბა

ანა ყურაპიშვილი

სუფრას ოთხნი ვუსხედვართ... საქმიანი ვახშამია. სადღეგრძელოებით ენაწყლიანობს მაინც თამადა, თან საქმეზე ვსაუბრობთ. მეჩქარება, ბავშვობის ძმაკაცს უნდა შევხვდე რამდენიმე საათის შემდეგ ამავე რესტორანში... 30 წელი არ მინახავს...

თამადამ, – მოდი, ჩვენი ბავშვობის მოგონებებს გაუმარჯოსო, – თითქოს ჩემს ფიქრებს ჩასწვდა...

ყველამ რაღაც გაიხსენა, სასაცილოც, მხიარულიც, დაუჯერებელიც...

გულის კედლებს მოაწყდა, მოეხეთქა ჩემი სევდიანი ბავშვობა... ჩემს ბიჭობაში, ასე 7-8 წლის ვიქნებოდი, თანაკლასელმა სკოლიდან სახლში წამიყვანა. აივანზე რომ ავედით, დედამისმა გაბრაზებით, ვითომ ჩუმად, უთხრა: ნეტა მაგ ტურტლიანს, უბედურსა და ლატაკს რაღას მოათრევიდიო. ჩემმა ძმაკაცმა ცრემლმომდგარი თვალებით ჯერ მე შემომხედა, მერე დედას მიაპყრო, ჩუმი მუდართით ახედა, არ გააგდოო, ალბათ ეს უნდოდა ეთქვა...

ქალმა ჩანთა გამოსტაცა ხელიდან, – შედი აბაზანაში, ხელები დაიბანეო. მე უკან გადმოვდგი ნაბიჯი, ის იყო, კიბზე უნდა დავეშვებულიყავი და სახლისაკენ მომეკურცხლა, რომ ქალმა მხარში წამავლო ხელი და კიბესთან მიმიყვანა, აქ დაჯექიო. მერე აჩქარებით შევიდა სახლში, მალევე გამოვიდა და პურზე დადებული ყველი მომაჩეჩა, ჭამეო...

რამდენი ხანი ყველი არ მენახა და ისე გამიხარდა, მადლობაც ველარ ვუთხარი, ისე ჩაგვიჩე... მეც ჩემი ძმაკაცით დამიწყლიანდა თვალები და უგემრიელეს ლუკმას არგადმოყრილი ცრემლები ჩავაყოლე...

ერთ ლუკმაც არ მეყო, ადგომა დავაპირე, გვანცა დეიდას ხმა რომ შემომესმა: – იჯექი, დაელოდე, ისადილებს, გამოვა და ეზოში ითამაშეთო.

წერწერ რამდენჯერ გადავყლაპე სადილის ხსენებაზე, არ მახსოვს. მინდოდა, სხვა რამეზე მეფიქრა, თუნდაც ამომეცნო, რა იყო აბაზანა, იქ როგორ უნდა დაეებანა ხელები... ჩვენ ეზოში შემოყვანილ წყალზე ვიბანდით ხელებს, თუ ძალიან ციოდა, დედობილს თბილი წყალი მოჰქონდა ჩაიდნით და ისე ვიბანდით მე და ჩემი უფროსი დაიკო... მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა და აღარ მახსოვს, ვითამაშეთ თუ არა ეზოში. ის კი მახსოვს, კარებში რომ გამოჩნდა, დედას ეხვეწებოდა, ერთ ცალ კაკლის მურაბას გავუტანო. ქალს ისეთი კოპები ჰქონდა, თვალი მოვარიდე, ჩემი თანაკლასელიც გაჩუმდა დალონებული...

სახლში წამოსულს ჯერ „აბაზანა“ ვერ ამომეხსნა რა იყო და ახლა თავში სახლეულად კაკლის მურაბა გამიხდა. მურაბა რა იყო, კი ვიცოდი, – ჩემი დედობილიც გვიხარშავდა მსხლისა და ლელვის მურაბას, ძალიან გემრიელს, რბილს, ფაფუქსა და ფუმფულას, მერე როგორ გვიყვარდა იმის წვენში პურის ჩანობა... მურაბის მოხარშვის ამბებიც კარგად მახსოვს, მე და ჩემი და მსხლის და ლელვის დაკრეფაში ვეხმარებოდით დედობილს. ლელვი სახლის წინ გვედგა, მაგრამ ერთდროულად არ მნიფდებოდა, როგორც კი შეყვითლდებოდა, ვკრეფდით. მსხალი ბოსტნის ბოლოზე იდგა. „ჩიტებმა არ დაგასწრონო“, ხალისით გვეტყოდა დედობილი და პატარა ვედროს მოგვცემდა. ჩვენც გავავსებდით და მივურბენინებდით.

მერე მალაზი-აში ჩაგვგზავნიდა საქარზე, თხოვნით, რომ მამის ხელფასამდე ნისი-ად მოეცა რამდენიმე კილოგრამი. გამყიდველიც თავს გადააქნევდა, უფრიდან კუთხე-ბაპრეხილ რვეულს ამოიღებდა, ზანტად გადაფურცლავდა, მამაჩემის სახელს იპოვიდა, თანხას მიუწერდა დიდი პლუსით. ჩვენ გაფაციცებულნი ვუყურებდით... მერე სქელი ყავისფერი ქალაღდისგან ხელზე გადახვევით წვეტიან პარკს გააკეთებდა, შიგ ჩაგვიყრიდა, სახლიდან წაღებულ ნაჭრის ჭრელ ჩანთაში ჩაგვიდებდა, არ დააპნიოთო, ისე გვეტყოდა, თითქოს სხვა საქმე არ ანალვლებდა. ჩვენც დიდ მადლობას გადავუხდით გახარებულები, რომ სახლში მისულები დედობილსაც გავახარებდით და ისიც შეუდგებოდა ხილის დარჩევა-დახარისხებას. გზაში ჩემი და შემაჩერებდა, ხელისგულზე ცოტა საქარს დამიყრიდა, ალოკეო, მეტყოდა ეშმაკურად, თვითონაც ცოტას ალოკავდა ხელის გულიდან, თან დედის სულს დამაფიცებდა, არავისთვის მეთქვა. არ ვიცოდი, რას ნიშნავდა დედის სულის დაფიცება, მაგრამ ის კი ვიცოდი, თუ დავიფიცებდი, კანონი იყო...



რაც მართალი, მართალი, დედობილი ხშირად გვეფერებოდა, პატარა ძმა გვეყოლა და, შენ უნდა გაჩუქოო, მეტყოდა ხოლმე, ხელშიც მაჭერინებდა, მერე ჩამეხუტებოდა, შენ უფრო მიყვარხარო... ამ დროს ჩემზე ბედნიერი არავინ იყო ამ ქვეყანაზე... ერთხელ ამ მოფერებაში ვიყავით, რომ ჩემმა დამ დამიძახა. აივანზე გავედი.

– წამოდი, კაკლის ქვეშ დავსხდეთ, რაღაც უნდა გითხრა...
– რა უნდა მითხრა? – დავცქვიტე ყურები...

დედაო, ვინც მე და შენ გავგაჩინა, მკვდარიო, ძალიან ლამაზი დედა გვყავდა, წითელი ლამაზი კაბა ეცვა ბოლოს და დიდ ხის საწოლში იწვა, მერე წაიღეს და მინაში ჩაანვინეს, ჩემი თვალებით დავინახეო... ძალიან მენატრება, წამოდი, ამოვთხაროთ და ვნახოთო... მერე ადგა, თითის წვერებზე სარდაფისაკენ წავიდა, იქიდან პატარა ნიჩაბი ამოიტანა და მანიშნა, წავედითო...

ცოტა შევფიქრიანდი, ორივეს ერთი ნიჩაბი რომ გვექონდა, მაინც გავყვი... ჩვენი უბნის ბოლოში იყო სასაფლაო. შესასვლელთან 2 კაცი იდგა და რაღაცაზე ლაპარაკობდა. ჩვენკენ მოტრიალდნენ... თქვენ აქ რა გინდათ, ვისი ბავშვები ხართო, რად მოხვედით, შვილო, ეგ ნიჩაბი რაღად გინდათო, დავგაყარეს კითხვები... მერე ჩემს დას თავზე ხელი გადაუსვა ერთმა, უფრო მალაზი რომელიც იყო, – მომეცი აქ ეგ ნიჩაბი, თქვენა, ირაკლის შვილები ხო არა ხართო?..

ორივემ თავი დავუქნიეთ...
– აქ ბავშვების მოსვლა უფროსის გარეშე არ შეიძლება, გაიქეცით ახლავე სახლშიო.
ჩემი და ნიჩაბს წაეტანა...

კაცმა, – მე ჩაგაცილებთ, ნიჩაბსაც მე წამოგიღებთო...
დასასრული მმ-18 გვირგვინი

კაკლის მურაბა

მე-17 ბპერლიან

მერე ხან რა გვითხრა, ხან რა და ლაპარაკ-ლაპარაკით სახლამდე მიგვაცილა. ჭიშკართან დედობილი გამოგვეგება, – უიმე, სად იყავით, გეძებდით, გული კინლამ გამისკდაო, – ორივეს ჩაგვეხუტა, მერე იმ კაცს მიუტრიალდა, – თქვენ მოიყვანეთ? დიდი მადლობაო...

არაო, იუარა იმ კაცმა, აქ შემხვდნენო, მე ირაკლისთან საქმე მქონდაო.... ჩვენც გადავრჩით. მაშინ დედობილს ისე გაუხარდა, უვნებლები რო დავბრუნდით სახლში, ისიც ვერ შეამჩნია, ნიჩაბი როგორ ჩაიტანა სარდაფში ჩემმა დამ...

როგორც კი ლოგინში ჩავნექი დასაძინებლად, დედობილმა ქოჩორზე ხელი გადამისვა, ლოყაზე მაკოცა და ლიმილით მკითხა, – სად იყავით, უკვე დიდი ბიჭი ხარ, მითხარიო...

თავი მოვიმძინარე, იმანაც საბანი შემისწორა და გავიდა... როგორ გავბედავდი თქმას, დედის სული მქონდა დაფიცებული.

რამდენიმე დღე ვფიქრობდი, როგორი იქნებოდა კაკლის მურაბა? – ქვით ვამტვრევდით და როგორ მოინარმებოდა მსხლის მურაბასავით? ბევრი ვითმინე და ისევე ჩემს ძმაკაცს ვკითხე, როგორია კაკლის მურაბა-მეთქი... თვალები გაუბრწყინდა, – ხვალ წამოგიღებ სკოლაში, ოღონდ არავის არ უთხრაო.

მეორე დღეს პირველ გაკვეთილზე დაავიანდა. კლასში რომ შემოვიდა, მასწავლებელმა ცერად გახედა... სანამ ეტყოდა, რად დაიგვიანე, დაჯექიო, შევხედეთ და შარვლის ჯიბიდან რალაცა ყვითელი სითხის ნვეთები ცვიოდა იატაკზე. ყველამ სიცილი დაიწყო... მასწავლებელი მიუახლოვდა. ჯიბე გარედან მოუსინჯა. ორი პატარა ბურთი ედო ჯიბეში...

ეს რა არისო, ჰკითხა მასწავლებელმა. ჩემმა ძმაკაცმა ტირილი დაიწყო, მერე ჩანთა მერხზე დადო და გარეთ გავიდა... დასვენებაზე მითხრა, მოგიტანე კაკლის მურაბა, ნამო, ქვის ქვეშ დავმალე ეზოშიო... გავიქეციო... ხელისგულისხელა ქვაზე ორი შავი ბურთი იდო... ზემოდან გვერდულადაც ქვა ეფარა... ერთი მე მომანოდა, მეორე თვითონ ჩაკბიჩა... მეც ჩავკბიჩე. იმისი გემო დღესაც მახსოვს და მთელი ბავშვობა ისე მენატრებოდა, როგორც უდაბნოში კაცს წყალი...

მაპატიეთ, ბავშვობის მოგონებების სადღეგრძელოს მოსმენა მიჭირს. ძალიან მძიმე ბავშვობა გვექონდა მე და ჩემს და-ძმას...

შევსებული ჭიქები გამოვცალეთ და ის იყო, ერთმანეთს უნდა დავმშვიდობებოდით, რომ გვერდით მაგიდიდან, საიდანაც 3-4 ნაბიჯი გვაშორებდა, სადღეგრძელო მოსწვდა ჩვენს სმენას...

– მოდით, ბიჭებო, კარგად მისმინეთ და შამღვრევამდე გაგვიმარჯოს... – და უცებ გადაჰკრა...

– შამღვრევამდე რა არის, კარგადა თქვი... – მხარზე ხელი მოუთათუნა მეორემ...

– შამღვრევამდე ის არის რო... მე ხო იცით, გუდამაყრელი ვარ, ეგ სადღეგრძელო ხშირად გამიგონია იქ. მაგისი პირველად მთქმელი იყო გოდერძი ჩოხელი... ერთ წიგნში უნერია, თეთრ არაგვს რო შავი არაგვი უერთდება, კარგა ხანს არ იკარებს, მერე მაინც თავისას გაიტანს შავი და ბნელისფერი წყალი და ისე მიჩქრიალებს, გეგონება ლოდებს ეუბნება, მე ვარ და ჩემი ნაბადიო...

– ჰოდა, ჩვენც შამღვრევამდე გაგვიმარჯოს, –



თქვა მესამემ, – აღარ უნდა ფიცი-მტყცი, შამღვრევა სწორედ ბავშვობის მერე ხდება ჩვენს ცხოვრებაში, ბედისწერა რასაც მოგცემს, ეგ არი... უდარდელი ბავშვობა მქონდა, მაგრამ შავი არაგვივით შემომხეტქა ბედისწერა, მშობლები დავკარგე... იმათი სიკვდილის შემდეგ გავიგე, რომ სახლიც ბანკში ჰქონიათ ჩადებული და ისიც დავკარგე. ისე მახეტქა ცხოვრებამ, როგორც შავი არაგვი ეხეტქება ლოდებს... ერთი ძმაკაცი მყავდა, ბიჭებო, თანაკლასელი, ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. დედა ადრე გარდაეცვალა, მამამ სხვა ქალი მოიყვანა. ღვთისწიერი აღმოჩნდა, თავისიც გააჩინა და არ არჩევდა ერთმანეთისაგან, სამივეს უვლიდა, მადლიანი ქალი იყო, მაგრამ ძალიან ღარიბები იყვნენ, უჭირდათ ცხოვრება... სკოლა არ დაუმთავრებია, საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ... ამერიკაში ისწავლა, იმუშავა და კაცი დადგა... ძალიან ეხმარება და-ძმას, ამბობენ, დედინაცვალს ქალი აუყვანა დამხმარედ და მომვლელადო. მეც, დაბადების დღე, თუ ახალი წელი, თუ აღდგომა, მესმარებოდა, საიდან რას იგებდა, არ ვიცი... როცა მიჭირდა, მირეკავდა, მამხნევებდა, ფულს მიგზავნიდა. დღეს უნდა ვნახო... დამირეკა, შემხვდით, თან კაკლის მურაბა წამომიღე ჯიბითო... ამ რესტორანში უნდა შევხვდეთ ნახევარ საათში... ჩამოვუარე მთელ სოფელსა და ვისაც სახლში მოხარშული კაკლის მურაბა ჰქონდა, ყველას გამოვართვი... აი, თუ არა გჯერათ, აქა მაქვს...

კაცმა რამდენიმე ქილა კაკლის მურაბა დადგა მაგიდაზე...

– იქნებ ველარც კი მიცნოს, ან მე ვიცნობ? 30 წელია, არ მინახია... იქნებ არც იკადროს ჩემთან პურის ჭამა... ფულს რო მიგზავნიდა, მეც ჩემზე გაჭირვებულებს ვესმარებოდი, ჯიბესა მწვავდა... რო არ მოვიდეს? გული გამისკდება...

– რა კაკლის მურაბაო, დაგცინის თუ რაშია საქმე, თან ჯიბით წამომიღეო, ხო არ დავრჩეთ...

– არა, მარტო იმის მეშინია, მიკადრებს? ჩემთან მოინდომებს პურის გატეხას?..

...ყელში ბურთი გამეჩხირა, თვალები ისე ამიწყლიანდა, როგორც მაშინ, დამადლებულ ყველსა და პურს რომ ვჭამდი კობზე და ვერ ვაცნობიერებდი, რა იყო აბაზანა...

ჩემი მეგობრები მიხვდნენ რალაცას, მეც ორი ნაბიჯი ძლივს გადავდგი და...

– გივი! გი-ვი!

გამოქანდა და ხელში ამიტაცა... თავისი დიდი ტორებით გულში მიკრავდა, – მამ, ჩამოხვედი? მამ გახსოვარ?

მერე უცებ მიბრუნდა, ჩანთიდან რამდენიმე კაკლის მურაბის ქილა ამოიღო... აღარ იცოდა, რა ექნა... ორივენი ქალებივით ავტირდით...

„პარსკვლავთა სვენამ გაღამარჩინა...“

მარიამ ამირანაშვილმა საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტი დაამთავრა და წარმატებით მუშაობს მარკეტინგის სფეროში...

პირმშვენიერი და ნიჭიერი გოგონას პოეზია ნაზი და ფაქიზია, ლამაზი ფიქრით და განცდით აღვსილი...

კოეტი

მე გავუღიმიე ღამეს მთვარიანს,
ოცნების გემმა მესროლა ფრთები,
ვარსკვლავთა ცვენამ გადამარჩინა,
და სიყვარულის დავიდეგი მთები.
მე ვესაუბრე ქარებს ნალვლიანს,
და გავატანე დარდები ჩემი,
უდაბნოს მთები ფეხით გავთელე
და გავაგრძელე ჩემი გზა სტვენიტ.
მდინარის ქაფმა კაბით შემომოსა,
გამომალვიძეს ფოთლებმა რხევით.
თეატრის გულში უცვებ განვიმდა,
ყვავილები კი იყრება დელგმით,
მადლიერების მზერა შემომხვდა
და უკვდავებას ჩავხედე ლექსით.
რბიან სიტყვები როგორც ისრები,
გული კი მზეა, ანათებს, იწვის!
მე გავუღიმიე ღამეს მთვარიანს,
პოეზია კი უჩუმრად მიცდის.

ჩემს მხარეს, მაღლიანს

უთოვლობამ რად შეაკრთო
დეკემბერის ექსპანსია?!
არცა სიტყვა, არცა ჰანგი,
მხოლოდ ხილვის ჰარმონია.



მომენატრე, ტურფა მხარევე,
უტურფესო მზევე და მთვარევე,
ყაჯარ-არწივს მომზირალნი
თვალნათელი კლდე და კბოდე...
ჯიხვი ვნახე ქედზე მსველი,
რქები ჰქონდა დიკის! ფერნი,
ზეზი? ჰქონდა მოხვეული,
დაშთილ იყო ზემოთ ლერწნი.
ჩემო მხარევე, სანატრელო,
შენში კვლავ არს გამარჯვება,
სიამაყით მოგიკითხავ,
არ ვივინყებ შენს საღმობას.
სულის ტკივილს მოვიგონებ —
გულიდან ხარ მოგლეჯილი,
თუმცა, მაინც ჩემში ზიხარ,
გონებაში ჩაბეჭდილი.
რით ვსულდგმულობ? —
შენი ჰავით,
— მთაში როა სუფთა ჰავა...
სად დავდივარ? — შენს მინაზე,

— განთქმულია შენი ღალა...
რით ვარსებობ? — შენკენ ვილტვი,
მინდა შენი ძველი ტაბლა...
მე მომზერდა ექსორია,
წალის დიდი ვაშკარანი³,
მომენატრა ფერთა გამა,
ქსნის ნაპირას მომზირალი.
მიყვარს შენი მჯალე გული,
ყვავილნარი არდაბაგი⁴,
მონითალო არდაგი⁵ და
უღალატო ქალ-ასმათი.
მე ვარ შენი მთების შვილი,
სისხლი ფესვებიდან მომდის,
სიხარულად ვარ ქცეული,
როცა შენი ქება მესმის.
ჰოი, მინავ, წმინდანთ მინავ,
დაგეცემი ლურჯ კურცხალად,
ზოსტერი ხარ მოოჭვილი
ბეშქენ ოზიზარის მსგავსად...
მიყვარს შენი ყოველივე,
თითოეულ ფოთლის თვალვაც,
სხეულან ბართა, პეტალ⁷ მთათა,
დაგბრუნებ მალე მართლა,
გულში ზიხარ, სულს ახარებ,
ოცნებაში არ მოგთვალავ!

- 1. დიკა - საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ხორბალი (ოქროსფერი)
2. ზეზი - სირმით განწყობილი ქსოვილი
3. ვაშკარანი - ტომარა, რისამე ჩასადებელი
4. არდაბაგი - შემადლებული ადგილი
5. არდაგი - საფარებელი
6. სხეულა - ოქროსფერი ან ვერცხლისფერი თმა
7. პეტალი - თხელი ლითონი

შინაწინაპი საახალწლო საჩუქარი მშობლიურ სკოლას

საახალწლო სამზადისი ყველგან ამაღლებული განწყობის მომტანია. განსაკუთრებით ბავშვებს ახარებთ ახალი ნაძვის ხე, მისი მორთვა სათამაშოებით, განათებით, მხიარული ზეიმით...

წინასაახალწლო საზეიმო განწყობაა წეროვნის მესამე საჯარო სკოლაშიც (დირექტორი ირმა ტატიშვილი), სადაც წინასაახალწლო დღეებში სამშენებლო მასალების მწარმოებელი კომპანიის „სპექტრომფორტის“ დირექტორმა გელა კაპანაძემ და ამ სკოლის კურსდამთავრებულმა სერგი პეტრიაშვილმა სკოლას საჩუქრად მიუტანეს „სპექტრომფორტის“ წარმოებული 4 მეტრამდე სიმაღლის ნაძვის ხე, სათამაშოები, საჩუქრები, განათება.



სკოლის დირექცია, მოსწავლეები მადლიერებას გამოხატავენ და ახალწელს ულოცავენ გელა კაპანაძეს

და სერგი პეტრიაშვილს, ბავშვებისა და სკოლისადმი გამოჩენილი ყურადღებისა და სიკეთისათვის.

ქართული სიბრძნე გვასწავლის: „არ დავინყებთ მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა...“ ამჯერად ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ მწერალ ელისო ზარიძის მოთხრობას და ჟურნალისტ როლანდ ოვაშვილის წერილს „ბედისწერა“.

როლანდ ოვაშვილი არაორდინალური ნიჭით, ინტელექტით, წერის მაღალი კულტურითა და გემოვნებით გამოირჩეოდა, ამასთან, მთელი ცხოვრება სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა და მათ შორის გაზეთ „ახალგორის“ რედაქტორიც ბრძანდებოდა წლების მანძილზე. საუკეთესო ოჯახის თავკაცობა – არაჩვეულებრივი მეუღლე, მრავალ თაობათა აღმზრდელი და მასწავლებელი ცილა ზანგურაშვილი, სამი კარგი შვილის, საზოგადოების ღირსეული წევრების მანანას, დევის და ნინოს მამობაც უხალისებდა ცხოვრებას...

ბედისწერა

როლანდ ოვაშვილი

იმდენად უცნაურად შეიძლება განვითარდეს ცხოვრების გზა, იმდენი რამ შეიძლება მოხდეს ცხოვრებაში მოულოდნელი, რომ უნებურად ჩნდება აზრი ბედისწერის გარდუვალობის შესახებ.

პირველი, ვინც ბედისწერის გარდუვალობის შესახებ მონათხრობით შეგვაშფოთა, სოფოკლე იყო. „ოიდიპოს მეფის“ შექმნიდან 2500 წელი გავიდა და ის დღესაც მსოფლიოს ყველა ცნობილი თეატრის რეპერტუარშია.

დღევანდელი ქურუმმა უწინასწარმეტყველა თებეს მეფე ლაიოსს, რომ მას სიკვდილი შვილის ხელით ეწერა, რომელიც შემდეგ, გაუთვითცნობიერებლად, თავის დედას შეირთავდა ცოლად. მეფემ თავის პირველ და ერთადერთ ახალშობილ ვაჟს ფეხები შეუკრა და მონას მისცა ტყეში გადასაგდებად. მონას შეებრა ღივი და იგი მწყემსებს დაუტოვა. გაიზარდა მწყემსებთან დატოვებული ოიდიპოსი (ძველბერძნულად ფეხებშეკრულს ნიშნავს). ერთხელ, გზად მიმავალმა, შეკამათების ნიადაგზე მოკლა კაცი და თებეს მეფე გახდა, ცოლად კი ქვრივი დედოფალი შეირთო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მოკლული კაცი მამამისი — მეფე ლაიოსი ყოფილა, ხოლო ცოლად შერთული დედოფალი — დედამისი.

ბედისწერას ვერ ასცდა.

ნაპოლეონს დღე-ღამეში მხოლოდ ოთხი საათი ეძინა და ყოველთვის დილის რიჟრაჟზე დგებოდა. ერთადერთხელ დაიძინა დილით. ეს იყო ვატერლოოს ბრძოლის დაწყებამდე ორი საათით ადრე და ამან გადამწყვიტა ევროპისა და თვითონ ნაპოლეონის ბედიც.

სენატში მიმავალ იულიუს კეისარს კიბეებზე წერილი გადასცეს სენატორთა შეთქმულების შესახებ. მან მისი წაკითხვა გადადო და ველარასდროს წაკითხა.

სიმღერის მასწავლებელმა სასწავლებლიდან დაითხოვა ათი წლის ნეაპოლელი ბიჭუნა — შენგან მომღერალი არ გამოვაო. ის მომღერალი მაინც გახდა. ამ ბიჭს ენრიკო კარუზო ერქვა.

გინეკოლოგმა პრინციპულად უარი თქვა, აბორტი გაეკეთებინა ავადმყოფი მშობიარისთვის, რომლის

მიერ დაბადებულ ჩვილს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი დაარქვეს.

მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ მე მინდა ქართული პოეზიის მოყვარული ერთი კაცის, ამ სტატიის ავტორის ტკივილის შესახებ გიამბოთ.

საფრანგეთში ერთ ნიჭიერ მწერალს სიმპათიები გაუჩნდა კომუნიზმის მიმართ. ამ ჩვეულებრივ ამბავს ჩვენთვის დიდი ტრაგედიები მოჰყვა. 30-იან წლებში იგი რამდენჯერმე ეწვია საბჭოთა კავშირს. ბოლოს ეს იყო 1936 წელს. ამ მწერალს ერქვა ანდრე ჟიდი (შემდგომში ნობელიანტი).

იგი შესვდა სტალინს. სტალინს ჩვევად ჰქონდა, საპატიო სტუმარი საქართველოში გაეგზავნა. მან კარგად იცოდა, როგორ ხვდებოდნენ სტუმარს მის სამშობლოში.

ლირიკული გადახვევა: ცნობილ თურქ იუმორისტ მწერალს აზიზ ნესენს თანამემამულეებმა ჰკითხეს: რა მოგეწონა საქართველოშიო.

— ერიო, — უპასუხა მწერალმა, — მე იქ სხვა არც არაფერი მინახავსო. გაუთავებელ ქეიფში სასმისების ბოლომდე გამოცლის ჩვენს ტრადიციას გულისხმობდა ცნობილი იუმორისტი.

სტალინის გამოგზავნილ სტუმარს ბერიაძე, რომელიც იმ დროს საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი იყო, საუკეთესო კომპანია შეურჩია საქართველოს დასათვალისწინებლად, — მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ბრწყინვალე პოეტი და პირველი თამადა პაოლო იაშვილი და პოეზიით გულანთებული გულიანი კაცი ტიცციან ტაბიძე. ძნელი წარმოსადგენი არ არის, ამ კამპანიაში რა დროს გაატარებდა ქართველთა სტუმარ-მასპინძლობით მოხიბლული ფრანგი. მაგრამ იგი დიდი მწერალი იყო და ქართველი კაცის კეთილშობილური ბუნების მიღმა, ამ ქვეყანაში თავისუფალი აზრი რომ არ ჭაჭანებდა, ისიც დაინახა და ისიც, რომ ასეთი რეპრესიების პირობებში ადამიანები საკუთარ სახეს დაკარგავდნენ.

და მოხდა ის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. პარიზში დაბრუნებულმა მწერალმა გამოსცა წიგნი — „საბჭოთა კავშირიდან დაბრუნება“. ერთი ბანალური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ეს მოწმენდილ ცაზე მესხის გავარდნას ჰგავდა. მისი წიგნები კი არა, მისი სახელის ხსენებაც აიკრძალა საბჭოთა კავშირში. ცხადია, მისი უშუალო მასპინძლებისთვის ეს სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ნიშნავდა.

სტალინის სატელეფონო ზარის შემდეგ, ბერიასთან გამოძახებულმა პაოლომ თავი პირდაპირ მწერალთა კავშირში მოიკლა სანადირო თოფით. ტიცციანის საფლავი დღემდე არ ვიცით. ამბობენ, გადასახლებაში გაგზავნილ პატიმართა ეშელონიდან ტაიგაში, სადღაც უდაბურ ადგილას ჩამოაგდესო. მიხეილ ჯავახიშვილს როცა უთხრეს, პაოლომ თავი მოიკლაო, თავისთვის ჩაილაპარაკა: „ვაჟკაცი ყოფილაო“. იგი მესამე მსხვერპლი გახდა ჩვენთვის საბედისწერო კაცის სტუმრობისა.

ხომ შეიძლებოდა, ამ ფრანგ მწერალს არ გასჩენოდა სიმპათიები კომუნიზმის იდეის მიმართ, არ ჩამოსულიყო საბჭოთა კავშირში, არ მოსწონებოდა სტალინს და არ გაეგზავნა საქართველოში? შეიძლებოდა, ცხადია, შეიძლებოდა, მაგრამ ბედისწერას რომ ვერავინ გადაურჩება, ეს ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე მე-5 საუკუნეში გვითხრა ყველა დროის უდიდესმა ტრაგიკოსმა.

ელისო ზარიძემ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა. გულმზიანი ქალბატონი გაზეთ „ახალგორის“ და მაშინდელი საოლქო ქართული გაზეთის რედაქციაში მუშაობდა. წერდა არაჩვეულებრივ ნოველებს, მოთხრობებს, გამოცემული ჰქონდა რამდენიმე ნიგნი და რამდენიმე ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულიც ბრძანდებოდა... ჰყავს ერთი დაოჯახებული შვილი, ისიც წარმატებული ჟურნალისტი ვანო ფუხაური. ვანოს საგაზეთო სტატიებიც ერთხანს ამშვენებდა ჩვენი გაზეთის ფურცლებს.



ნაწყვეტი მოთხრობიდან
«თოჯინამ ლაპარაკი არ იცის»

— ხათუნა... — ხმათროლებული მეუბნებოდა ოტია, — ხათუნა... მე მარტო იმისთვის ვიცოცხლებ, რომ შენ ბედნიერი იყო, შენ ძალიან ბედნიერი იქნები. — ვიცი. — შენ გაგეცალე. შენი გულისთვის გადავიკარგე რუსეთში, მაგრამ ვერ მოვისვენე. მაინც აქეთ მენეოდა რალაც. რალაც კი არა, პატარა, წვრილკანჭება, გაჩხიკული გოგო, კაკლის ხის ქვეშ რომ იდგა ლენჯოთი მოთხუნული თითებით, მოკლე კაბას ქარი უფრიალებდა და ქვეშ-ქვეშ გამომყურებდა ეშმაკურად. იმ დღიდან ცხოვრობს ის გოგო ჩემს გულში. უჰ, რამდენი წელია, შიგ გულში სახლობს. ჩვენ, უბრალოდ, მაშინვე ავცდით ერთმანეთს, როგორც კი შევხვდით და ორივენი დავიტანჯეთ. მე არ მინდა, გიყიდო, ხათუ, ვიცი, რომ სიყვარული არ იყიდება, მაგრამ მჯერა, რომ შემიყვარებ. არ შეიძლება, ჩემი სიყვარული არ შეიყვარო. რამდენ ხანს გელოდი... არც კი მჯერა, რომ ამაღამ ახალი წლის საღვთობის დღესასწაულს ერთად დავლევთ. — ბილეთები? — რალაცას ვეჭიდებოდი, რალაცას, სულ უიმედოსა და უმნიშვნელოს, ცოტას რომ მაინც შეაჩერებდა დროს, სულ ცოტათი მაინც რომ დაამუხრუჭებდა. — დეიდან ყოველგვარ საზრუნავს თავიდან გაცილებ, გენაცვალე. დეიდან ახალი ცხოვრება იწყება. ბედის დაცინვასავით იყო... ოტიაც ახალი ცხოვრების დაწყებას მპირდებოდა, კოტესავით. დედაჩემიც სულ იმას მიკიჟინებდა, ახალი ცხოვრება დაიწყეო, თითქოს იმ ძველს აიღებდი და დაასამარებდი, მუხის კუბოში ჩასვენებულს ჩაფლავდი ნოტიო მიწაში... „აბორტი გაიკეთე, სანამ გვიან არ არის, — შემპარავი, ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული, ბრძანებადნაქცევი ხმით მეჩურჩულებოდა დედაჩემი, წინასწარვე მახვედრებდა, რომ თუ არ დავემორჩილებოდი, საცაა დაიკვილებდა: „წნევამ ამინა“... მართლა აუნევედა და მერე კმაყოფილი დამიწყებდა თვალთვალს, კორვალოლის ბოთლს აკანკალებული რომ ვეცემოდი, — თავი ხო დაიღუპე შენი სიკერპით, ახლა ბავშვის ცოდოშიც არ ჩადგე. ზედმეტი ტვირთი უნდა ათრიო. რა იცი, როგორი დაიბადება ლოთის შვილი. ყველაფერს ზურგი აქციე. ახალი ცხოვრება დაიწყე.“ როგორ შეიძლებოდა, სრულყოფილი არ დაბ-

ადებულიყო ჩემი ნაოცნებარი, ნალოლიავები გოგო. და მაშინ ხომ არა სვამდა კოტე, მაშინ თავლობის თვეები გვექონდა, როცა ვიგრძენი, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. დავეხეტებოდი გაღმა, ტყეში, ვისხედით ფუტურო, ხავსმოდებულ, დამპალ ბალახებში გადაქცეულ ხეზე, გადაფითრებული სოკოები მეჭექებოდა რომ ამოზრდიყო, ერთმანეთს მიხუტებულები, ერთმანეთის სუნთქვით გამთბარნი და ფოთოლცვენას ვუყურებდით. ოქტომბრის ქარი თავსა და მხრებზე ყვითელ, აფარფატებულ ფოთლებს გვყარდა. ნემომპალას სუნი გვაბრუებდა, კოჭამდე ველფლობოდი გრილ, სქელ ფოთლებში და მათი შარნიშური გულს გვიტყვებდა. ყელზე თრიმლის ფოთლების აცმულა მეკეთა, მძივივით, სიცოცხლის უკანასკნელი აფეთქება. თავზე მუხის კბილანა ფოთლების გვირგვინი მედგა, ამ ტყის დედოფალივით. ახლა ქამარს მიწნავდა კოტე, ნოტიო ფოთლებს არჩევდა, გუშინ, გუშინწინ ჩამოყრილებს, რომ ხელში არ ჩაჰვშენიყო და უკვე შიშველი, შავი ტოტების ქვეშიდან ღრუბლის ქულები საჩჩეჩჩელებზე წამოცმულ მატყლის ფთილებს ჰგავდნენ. შურით ჩამოგვცქეროდნენ დაუკრეფავი, ნაყოფმეჭჩნარი შეინდები, მუცლებდაბერილი, გადამწიფებული ასკილები და დროდადრო, როცა ნიავი ჰაერში ფოთლებს ააფრიალებდა, ტოტებიდან ახლად გადაღებული წვიმის წვეფები გვაცვიოდა ნაზი, მომწვანო ზურმუხტებივით. „რა საოცრებება, რომ მიყვარხარ, გოგონი. ასე რომ მიყვარხარ“. როგორ უკვირდა და როგორ ვუყვარდი მართლა, არაფერი აღარ ახსოვდა ამ ქვეყნად, იმ თავისი სიყვარულის მეტი. ჩემთან ერთად მთელ ქვეყანას იხუტებდა გულში და აღარც როდესმე მიწნავს ისეთი მშვიდი და ბედნიერი. „მე ახლა ჩამოსიებული ქუთუთოებით უნდა მევლო. დაშლილი ღვიძლისგან ამოყვითლებული თვალებით და რა იცი, შეიძლება სწორედ ამ ტყეში მომღებოდა ბოლო, სწორედ ამ კუნძუზე. ახლა კი ვზივარ და არ ვიცი, როგორ მოვერიო ამოდენა ბედნიერებას, როგორ გავუძლო. რა საოცრებაა ასეთი სიყვარული, შენ არ იცი“... ვიცოდი. როცა ნაცრისფერ კოსტუმსა და წითელ ჰალსტუხში გამოწყობილი ოტია, როგორც ნამდვილი სასიძო, უნაკლო და ნანატრი, დედაჩემთან საათობით იჯდა და ვითომ ინტერესით ელაპარაკებოდა კულინარიული ხელოვნების რეცეპტებზე და თეთრი ბატისტის კაბის გადასაცმელად ჩემს ოთახში გასულს, მოთმინებით მელოდებოდა, მე უკანა კარიდან ვიპარებოდი და კოტესთან გავრბოდი პაემანზე. თან არც კი ვიცოდი, მოვიდოდა იმ პაემანზე, თუ არა. გავახსენდებოდი ლოთ მალხაზასთან სახინკლეში მჯდარს, ან ჭაბუას გრილ მარანში ტაბლასთან მოლხენილს, თუ არა. როგორ ნელ-ნელა, როგორ შეუმჩნეველად გადაეჩვია სმას. წისქვილს რომ წყალი გადაუგდო, ისე შეიცვალა კაციო, თათია ამბობდა. ხომ მაშინვე გეუბნებოდი, ხომ გეუბნებოდიო. ცოლად რომ გავყევი, დანშინდილი და მშვიდი სახე ჰქონდა. მაინც, რამოდენასა ვლოთობდიო, თვითონვე უკვირდა. „ღმერთმა ჰქნას, ღმერთმა ჰქნას, ფუი, ეშმაკს...“ სათვალის ზემოდან გადმოჰყურებდა დედაჩემი. „რა? — ხმა უკანკალებდა კოტეს, — რა?“ „არაფერი, არაფერი. შიშით ხმა ვერ ამომიღია, მაშინვე ყელში მწვდებით“. საკანში გამომწყვდეულ პატიმარსა ჰგავდა, ობობას ქსელში გაბმულ

ნაწიკვაპტი მოთხრობიდან
«მოჯინამ ლაპარაპი არ იცის»

21-ე გვერდიდან

კრანანას. თავისი პატარა ქოხი უნდოდა, თავისი მყუდრო ნავსაყუდელი. „ბინას რომ მივიღებთ...“ როგორ ელოდებოდა იმ ბინის მიღებას. უკვე შპალერსაც ვარჩევდით მაღაზიაში და რომ არ მოგვცეს ის ბინა, იმაზე კი არ მისკდებოდა გული, ვაიმე, უბინაოდ დარჩებით-მეთქი, უფრო უარესს ველოდებოდი, უფრო გულისგასახეთქს და ბინების განაწილების კომისიის თავმჯდომარე რომ მელაპარაკებოდა ღიმილით, დასამშვიდებლად, მომავლისთვის ისევ ლოდინის იმედს რომ მიტოვებდა, მე ვიღაც ჩამვიოდა ყურთან: „დალევს... ვაიმე, დალევს“...

მთელი დღე არ გამოჩენილა. მრცხვენოდა, სასადილოსკენ რომ ჩამევილო, ან რესტორნისკენ, დაბის ქუჩებში რომ მეძებნა დაკარგული ბატკანივით. არადა, ლოდინი მკლავდა, ბოლოს მიღებდა მოლოდინი. შუალამემდე ვალერიანის აბებს ვწუნნიდი და ჭიშკარი რომ შემოაღო, უკვე ვიცოდი, გატრეტილი მთვრალი რომ იყო. ჭიშკრის მისურვის ხმაზევე ვიცოდი, კიბზე ამომავალ ფეხის ხმაზე. დედაჩემი თავის ოთახში შეიმალა. სანოლზე ვიჯექი ლამისპურანგიანი, განენილი, შეშლილი თვალებით და ჭჭუკულაანთ გიგლას დაენატროდი, რა ბედნიერია, რომ ავარიში მოკვდა და მოისვენა-მეთქი.

არავის არ ვჭირდები, ყველას ფეხებზე ვკიდივარო, ყვიროდა, იგინებოდა, ვიღაცას ემუქრებოდა, სადღაც გარბოდა და რომ ვიჭერდი, რომ ვეხვეწებოდი და ვუყვავებდი, უფრო გიჟდებოდა. ცოფიანი ძალღივით აღრჭიალებდა კბილებს და იქით დედაჩემი წიოდა: „წნევამ ამინია“... დილით კი, დილით, რომ დავეინწყებინა წუხანდელი ღამე, ხალისიანად იპარსავდა წვერს, ლექსს ბუზბუზებდა, ლოცვასავით, ალერსით გამომყურებდა სარკიდან და რალაცნაირი ნიშნისმოგებით ღიღინებდა: „ობლის კვერი ცხვაო“... თან მამშვიდებდა: „ველაპარაკე... თავმჯდომარეს. ოცდაოთხბინიანში უსიკვდილოდ მოგცემთო. ისიც მალე იქნებაო. ცოტაც უნდა მოითმინოთ, თქვენზე გაჭირვებულებიც ხომ იყვნენ, სულ ცის ქვეშ დარჩენილებიო...“ ვიცოდი, რომ ის პირველი შებრუნება იყო ძნელი, წარსულისაკენ შებრუნება, თორემ მერე გაუიოლდებოდა და ეგრეც მოხდა. გააბა და გააბა. თავს იტყუებდა და უკვირდა, მე რომ არ ვტყუვდებოდი. „ბინას მოგვცემენ... ახალ ცხოვრებას...“ თითქოს, რომ მოეცათ კიდეც, რამე შეიცვლებოდა. თითქოს იმიტომ ლოთობდა, უბინაობები რომ ვიყავით. ავდექი და ეს ოთახი დავიქირავე, მკერავი ტასიკოსი. მინდოდა, მოულოდნელად გამეხარებინა ასე უცაბედად გამოვარდნილი თავისი პატარა ბუდი. ქორით კი არა, ჯოჯოხეთშიც ვიცხოვრებდი, ოღონდ აღარ დამენახა ის ამღვრეული რუსფერი თვალები, აღარ მელოდნა შუა ოთახის კარის საკეტიდან გასაღების გამოძრობის ჩქამისთვის, არაბუნებრივად დამფრთხალი, წივანა ხმისთვის: „წნევამ ამინია“, კიბზე ამომავალი არეული ნაბიჯებისთვის. თითქოს სცენაზე გამუდმებით ვთამაშობდი ძალიან დაძაბულ, რთულ და უსიამო როლს და და დავილაღე, დაებრდი, აღარ ვვარგოდი ამ როლისთვის. უფრო და უფრო უნიჭო ვხდებოდი.

„მოგკლავს, — მოთქვამდა დედაჩემი, — დაითრობა და ყელს გამოგჭრის, ხბოსავით. გიჟიც გიჟია და ეგაც გიჟი ხდება სიმთვრალეში. სად მისდევ?! აქ ჩემი რიდი და შიში მაინცა აქვს, იქ ვინ იქნება შენი პატრონი?! ერთი აყალმაყალი და, გარეთ გამოგიძახებთ მკერავი ტასიკო. ბინა უშველის?“

დედაჩემი მართალი იყო. ამ პატარა ბუდემაც ვერ გვიშველა და რომ მოკვდა, წნევამ მართლა რომ დაარტყა, ტვინში სისხლი ჩაექცა და მოკვდა, კოტეს მკერდში თავჩარგული ვქვითინებდი და სულ იმას ვიმეორებდი, მართალი იყო დედაჩემი-მეთქი და ლადიამაც, ჩემმა ძმამ, იმ ცინგლიანმა, სამხედროდან ახლად ჩამოსულმა, ეგ მითხრა, — შენმა დარდმა გადაიყოლა დედაო...

...ანივლებული, აგუგუნებული ყურებით ოტიას ნანყვეტ-ნანყვეტ სიტყვებს ვიჭერდი:

— შენი საუკეთესო წლები... უაზრო მოლოდინით... უდემამო ბავშვთა სახლში მშვენივრად...

და ყური მივუგდე ოტიას:

— ვიცი, რომ ძნელია შენთვის შვილის მიტოვება, მაგრამ სამუდამოდ ხომ არ ვტოვებთ ნინიკოს. როცა თეთრ კაბას ჩაიცვამ, საპატარძლო კაბას, ჩემთვის ისეთი წმინდა და უმანკო იქნები, არ მინდა, ნინიკოს სიახლოვემ გამახსენოს შენი წარსული. მთელი არსებით ჩემთან უნდა იყო. მთელი შენი ყურადღება მე უნდა მეკუთვნოდეს. მე იმდენ ხან ველოდი ამ დღეს, უფლება მაქვს, ჩემი ბედნიერებით ისე დავტკბე, რომ არავინ მყავდეს მოცილე.

— ავად რომ გახდეს? — ჩამწყდარი, უნიათო ხმით ვკითხე, თითქოს არც მაინტერესებდა, ისე.

— ექიმი ჰყავთ, ექთნებიც. გარწმუნებ, მშვენივრად მიხედავენ, მერე კი, ვნახოთ.

მერე სხვა შვილიც მეყოლება-მეთქი, ოტიას შვილი, გულში ვფიქრობდი, ნინიკოს კი გერი დაერქმევა-მეთქი. ძალიანაც რომ შეიყვაროს ოტიამ, სულ ძალიანაც, მაინც რალაცით დაჩაგრული გერი იქნება-მეთქი.

— მერე ყველანი ერთად ვიქნებით, ნინიკოც და ჩვენი სხვა შვილებიც.

— აბა, რა, ყველანი ერთად ვიქნებით მერე.

— ხათუნა, ხათუ, რაზე ფიქრობ ახლა, ამ წუთში?

— არ ვიცი, დალაგებულად არაფერზე. თუ გინდა, ხმამალა ვიფიქრებ.

— იფიქრე. მე ჩუმად ვიქნები და ყურს დაგიგდებ.

— ...აბა, როდემდე ვისტიყოლო ამქვეყნად ასე ეულად? ცხოვრება ამოსუნთქვასავით სწრაფად მადნება ხელში. თვალსა და ხელს შუა ილევინა წლები. წლები, რომლებიც ტოვებენ ულმობელ კვალს: ჭაღარას, ნაოჭებს შუბლზე, ახალგაზრდობა კი აღარ დაბრუნდება. უნდა ვისწავლო, ცხოვრებას წავართვა ყველაფერი, რისი მიღებაც მისგან ვერ მოვასწარი. პატარა რამის საყიდლად აღარ დამჭირდება ხელფასიდან ხელფასამდე ლოდინი. თუ მინდა, ვიყიდი მელიის ქურქს, მინდა ვარდისფერკაბიან, დიდ თოჯინას, ნინიკოს რომ ვერ ვუყიდე და მაღაზიაში აღარ შემეყავდა, არ დაინახოს და გული არ დასწყდეს-მეთქი. რიგაში მოვინდომებ წასვლას? ტაშქენტში? თუ საზღვარგარეთ? კი, ბატონო, მიბრძანდი. იქიდან მოსკოვში გამოივლი და ერთ თვეს დარჩები? კეთილი და პატიოსანი, რა დიდი ამბავია? თუ გინდა, ციმბირშიც წადი და ჩუკოტკის ნახევარკუნძულზეც. ხომ გხიბლავდა თეთრი ეგზოტიკა. მეთევზის იარაღში იცხოვრე და ძალღებშებშული მარხილით ადი მთებში ირმის ჯოგის სანახავად. მე

მცხეთაში პლასტმასის ბოთლების ჩამბარებელი პუნქტი ამოქმედდა

კომპანია „პოლივიმი“ მცხეთაში პლასტმასის ბოთლების ნარჩენების შექმნას იწყებს. 1 კილოგრამი პლასტმასის ბოთლის ჩამბარება 1 ლარი ელირება.

3 დეკემბრიდან, ყოველ შაბათ დღეს, დილის 8:00 საათიდან 13:00 საათამდე, მცხეთის ბაზრის მიმდებარედ, ჩამბარებელი პუნქტის მანქანა განთავსდება და მოქალაქეებს შეეძლება დაგროვილი პლასტმასის ბოთლების ჩამბარება თანხის სანაცვლოდ.

პლასტმასის ნარჩენები აბინძურებენ გარემოს და აზიანებენ ჩვენს ბუნებას. თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ არჩევანი, შეაგროვოთ და ჩააბაროთ პლასტმასის ბოთლები შემდეგი გადამუშავებისთვის.

პლასტმასის ბოთლები უნდა იყოს სასმელი ნყლის, წველის, გაზიანი სასმელის, ლუდის და ა.შ. ბოთლები აუცილებლად დაცლილი უნდა იყოს სითხისგან, დამატებითი ნარჩენისგან. მათი გარეცხვა აუცილებელი არ არის. ჩასაბარებელი ბოთლების ნახევარი მინც უნდა იყოს გამჭვირვალე ფერის. სასურველია ბოთლები იყოს დაჭმუჭნილ მდგომარეობაში.

გადამუშავებადი მასალების დახარისხების და სეპარირებულად შეგროვების მნიშვნელობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საქართველოში, რაც განპირობებულია, საზოგადოებაში არასაკმარისი ცოდნით ნარჩენების ღირებულებისა და გადამამუშავებელი ინდუსტრიის არსებობის გარემოსდაცვით და ეკონომიკურ მნიშვნელობაზე.

ამ კუთხით თავისი როლის შესასრულებლად, შპს „პოლივიმი“-მ დაიწყო კამპანია სახელწოდებით „ერთი ნაბიჯით წინ“ - ფიზიკური პირებისგან ნარჩენის შესაგროვებლად გარკვეული საფასურის სანაცვლოდ.

„პოლივიმის“ სანარმო რუსთაველი მდებარეობს, სადაც აღნიშნული ნარჩენის გადამუშავება ხდება.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონულმა ჰაბმა პროექტის დასკვნითი კონფერენცია გამართა



29 ნოემბერს, პროექტის “მდგრადი განვითარება ადვოკატირების გზით ომით დაზარალებულ მოსახლეობაში” ფარგლებში ჩატარდა დასკვნითი, შემავამებელი კონფერენცია, სადაც მონაწილეობას იღებდნენ როგორც პროექტის მონაწილეები, ასევე მუნიციპალიტეტებისა და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები სამიზნე ლოკაციებიდან.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონულმა ჰაბმა წარაგდინა პროექტის განხორციელებული ეტაპები და ვიდეორგოლები სასწავლო ვიზიტისა და ადვოკატირების კამპანიების შესახებ.

პროექტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას ადვოკატირების გზით, დევნილთა დასახლებებში და ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან არსებულ სოფლებში.

პროექტი ხორციელდება ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის International Visegrad Fund ფინანსური მხარდაჭერით. პროექტს ახორციელებს მცხეთა მთიანეთის რეგიონული ჰაბი პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად.

შენ გეტყვი, ვინმეს დარდი შეგანუხებს, ან შვილის უნახაობა მოგკლავს. თათია იტალიაშიც იყო ტურისტული საგზურით და მე ამ ქვეყანა დაბას ვერ გავცდი. კოტეს ხელში ვაგროვებდი კინოს ბილეთის საყიდლად ხურდებს, თორემ ოტიასთან რა გამიჭირდება. ოტია თავის დღემდე არ გაივლის ქუჩაში ბარბაცით...

უცბად დავიწყე ლაპარაკი, სხაპა-სხუპით, თითქოს გაზეპირებულ ლექსსა ვკითხულობდი და უცებვე შევწყვიტე. ორივენი ჩუმად ვიყავით და მე ნინიკოს კრუსუნის მესმოდა. კატის კნუტყით კრუსუნებდა ძილში და სულ მეგონა, რომ ლეკვი მყავდა, ერთი ციცქნა, ენით ასალოკი ლეკვი. ოტიამ მითხრა:

— ნურაფერზე ნულარ იფიქრებ, ხათუ. მე გთხოვრა საჭიროა ფიქრი და კვნესა, როცა ყველაფერი გადწყვეტილია. განგებამ შენი თავი მე მაჩუქა და ახლა მე ვიქნები შენი პატრონი. მე ვიფიქრებ ყველაფერზე. ფიქრს რომ აპყვე, შეიძლება გაგიჟდე, როცა წარმოვიდგენდი, როგორ გესვეოდა ქმარი შიშველ მხრებზე და ვნებით გიკოცნიდა მკერდს, როგორ ინქი მის მკლავზე თავგადაგდებული, ვგიჟდებოდი, გეგმებს ვაწყობდი, როგორ დამეხრჩო კოტე. რამდენჯერ ავდევნებოვარ მთვრალს, ლილინ-ლილინით შენვენ მომავალს. მწუხარებისთვის ვერ გიმეტებდი და ვიყავი ასე, ბადეს ამოყოლილი თევზივით უხმოდ, პირდაღებული. ხომ

მოვერიე თავს, ხომ გავიმარჯვე! შენც უნდა...

— გაჩუმდი, გაჩუმდი. — შევეხვეწე ოტიას, რადგან გულში იმას ვფიქრობდი, რაც ახლა ჩემში ხდება, კოტე ამას დაარქმევდა სულის კვილს, ან სულის ჭიდილს, ან მოუძებნიდა სხვა შესატყვისს და დანერდა ლექსს, ძალიან სევდიანსა და ლამაზს-მეთქი. კოტეს ფუჭი, აუხდენელი ოცნებები ჰქონდა. ცხოვრება მისთვის გაჭენებულ ცხენზე იჯდა და გაშმაგებით მიჰქროდა სულ სხვა მხარეს, მონდომებით უვლიდა გვერდს, ერთი ბენოთიც არ უახლოვდებოდა, რომ იმედი გასჩენოდა, დავენევიო. დოღზე შემთხვევით მოხვედრილი მაყურებელივით შორიდან უთვალთვალებდა, რას აკეთებდნენ ისინი, სხვები, იმარჯვებდნენ თუ მარცხდებოდნენ. ღვინითა და ლექსებით ცხოვრობდა და ცხოვრება ნაფოტივით ატივტივებდა თავის ყალყზე შემდგარ ტალღებზე, ოტია კი ცხოვრებას ათამაშებდა, როგორც უნდოდა, ბურთივით. და სულ ერთიანად ავირიე, რაკი მივხვდი, რომ ერთმანეთს ვადარებდი კოტესა და ოტიას. მთელი ჩემი საღი გონებით ოტიას მხარეზე ვიყავი და ვერ გამეგო, რალა მექაჩებოდა მაინც უკან, რა მელოებოდა ფეხქვეშ ძნელად გადასალახი ბარიერივით, რომ სულ ახლოს მივსულიყავი. ყურმილით ხელში ვიყურებოდი სარკეში. მიმტკნარებული, გაცრეცილი, უპეებამოშავებული სახე შემომცქეროდა.

სპარტველოს პარლამენტის მხარდაჭერა: „მშვიდობის ჰანგები წეროვნიდან“

